გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№56 (951) 30 მაისი – 1 ივნისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ირაკლი ღარიბაშვილის გერმანიაში ვიზიტის დეტალები და მნიშვნელობა

„გერმანია არ მაღავს, რომ გარეპროცესების მიუხედავად, საქართველოს ევროპულ სწრაფვას საფრთხე არ შეექმნება!..."

ექსკლუზიური ინტერვიუ ნოდარ ხადურთან

დადის თუ არა რესტორნებში, რაფომ არ დაასაქმებს უმუშევარ მეუღლესა და დის ქმარს და რაფომ ყიდის ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო გარგარს?

სამართალი

ქართული მართლმსაჯულება საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში გვ. 5

როგორ და რამდენჯერ უნდა ავირჩიოთ ადგილობრივი ხელისუფლება გვ. 3

„ხალხმა სამართლიანობის აღდგენა ქუჩაში არ უნდა დაიწყოს"

რაფომ შესთავაზა მაჟორიტარად კენჭისყრა კახა კალაძემ და რას ჰპირდება გელანის ამომრჩეველს მურთაზ შელია

გვ. 8

ნავარო და თარხნიშვილმა მხოლოდ პატრიარქს ვერაფერი მოუხერხეს

გვ. 4

რაფომ არ არის სანდო NDI-ს კვლევები და რა ინტერესები აქვს ამ ორგანიზაციას?

რუსეთის მორიგი ტყუილი აფხაზეთის მოსახლეობისთვის

რა ხდება აფხაზეთში და რა შეიცვლება ანქვაბის გადადგომით

ელენე ხოშტარია: „ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერის გადაგორებით საფრთხე არ მთავრდება, პირიქით, ახალი პროცესი იწყება ნატო-ს სამიტის წინ!"

გვ. 9

ასი მილიონი საქართველოს მოსახლეობას, ტექნიკის განსაახლებლად სმაილისგან და ვითიბი ბანკის უპრეცედენტო შეთავაზება გვ. 8

VTB

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA მეორე საგრანტო კონკურსი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდასაჭერად გვ. 7

ირაკლი ღარიბაშვილის გერმანიაში ვიზიტის დეტალები და მნიშვნელობა

„გერმანია არ მაღავს, რომ გარეპროცესების მიუხედავად, საქართველოს ევროპულ სწრაფვას საფრთხე არ შეექმნება!...“

გიორგი იაშვილი

27 ივნისს საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოაწერს ხელს. ექსპერტთა ვარაუდით, აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს გააღიზიანებს, თუმცა ისე ჩანს, ეს თემა ევროპულ სახელმწიფოებს არ ადარდებთ და ღიად აფიქსირებენ, რომ მხარს საქართველოსა და მის ევროპულ არჩევანს უჭერენ. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ორ ვიზიტს გერმანიაში, რომლებიც გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელისა და ევროპის საბჭოს პრეზიდენტის, ჰერმან ვან რომპუის მიწვევით შედგა. გერმანიასთან, რომელიც ევროპის კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანაა, ყველაზე მეტად ასოცირდება ევროპული იდეა და ევროპის კავშირის სიძლიერე. გერმანიისა და ევროპის საბჭოს პოზიცია ასეთია — საქართველომ დაამტკიცა ევროპული ღირებულებებისადმი სოლიდარობა, ერთგულება და ის, რომ ქვეყანაში მოდერნიზების პროცესი, ევროპული ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, შეუქცევადად მიმდინარეობს.

პარალელურად, ირაკლი ღარიბაშვილმა მკაფიოდ დაანახა ევროპასა და გერმანიის ხელისუფლებას, რომ ქვეყნის მთავრობა არის პროგნოზირებადი, თანმიმდევრული, მოწოდებული რეფორმების განხორციელებისკენ, რაც განაპირობებს ქვეყნის შემდგომ მოდერნიზაციას. რაც შეეხება უშუალოდ ვიზიტებს — ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ანგელა მერკელს 28 მაისს შეხვდა. გერმანიის კანცლერმა ქართველი პრემიერი სამუშაო სადილზე მიიწვია, რომელსაც უკრაინის პრემიერ-მინისტრი არსენ იაცენიუკი და მოლდოვას პრემიერ-მინისტრი იური ლეანკაც დაესწრნენ, რის შემდეგაც მედიისთვის ერთობლივი განცხადება გაკეთდა.

მერკელთან შეხვედრის მეორე დღეს, 29 მაისს, სხვა მაღალი რანგის სტუმრებთან ერთად, ირაკლი ღარიბაშვილი აახენის საკათედრო ტაძარში მესას დაესწრო, რის შემდეგაც აახენის მერიის სახელით მიღება გაიმართა. აახენში ევროპული საბჭოს პირველ პრეზიდენტს, ჰერმან ვან რომპეის კარლოს დიდის (საფრანგეთის მეფე 768-814 წლებში) სახელობის ჯილდო გადაეცა. ამ საპატიო ჯილდოს, ევროპის გაერთიანების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადასცემენ. 1950 წელს დაწესებული ჯილდო კარლოს დიდის სახელს იმიტომ ატარებს, რომ სწორედ ეს უკანასკნელი მიიჩნევა ევროპის პირველ გამაერთიანებლად. სხვათა შორის, რომპეი ახლახან ვიზიტით საქართველოში იმყოფებოდა. მის მიერ თბილისში გაკეთებულმა განცხადებებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საქართველოს ევროპული პერსპექტივის ნება. ამასთან, საქართველოს პრემიერის აღნიშნული ვიზიტი არის უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელებული საქართველოს უმაღლესი პირის პირველი ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ვიზიტების ამგვარი დინამიკა მკაფიოდ მიუთითებს, რომ საქართველოს ხელისუფლების თანამიმდევრული პოლიტიკა ჩვენი გერმანელი პარტნიორების სრულ მხარდაჭერასა და მაღალ შეფასებას იმსახურებს.

„ვერსია“ ირაკლი ღარიბაშვილის გერმანული ვიზიტის შეფასებისთვის, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს დაუკავშირდა:

ირაკლი ჩიქოვანი: — ეს იყო პირდაპირი განცხადება, რომ გერმანია მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესში ქართულ მხარეს. ეს ვიზიტი ასევე ჩვენთან ურთიერთობისა და სამომავლო თანამშრომლობის სურვილის ღია გამოხატულებაა. არანაირად არ მინდა, ევროპული ქვეყნები დავყო რიგითობის მიხედვით, მაგრამ ყველამ იცის გერმანიის როლი არამარტო ევროპაში, არამედ მსოფლიო მასშტაბით. ამ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერეც ყველასთვის ცნობილია. შესაბამისად, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყნის ასეთი ღია მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავს.

— ბატონო ირაკლი, უკრაინასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ასეთ ღია მხარდაჭერას ბევრი არ ელოდა.

— ის, რაც ხდება უკრაინასა და საქართველოს ისტორიულ კუთხე აფხაზეთში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერა პირდაპირ ნიშნავს, რომ საქართველოს სწრაფვას ევროპისკენ ხელს ვერანაირი გარე თუ შიდაფაქტორი შეუშლის. თანაც, ეს შემთხვევითი ვიზიტი კი არა, გერმანული მხარის მიწვევით განხორციელებული შეხვედრა იყო. ისაუბრეს ძალიან ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე. ამ ვიზიტის დადებით შედეგებს მალე ყველა ერთად დავინახავთ.

თინა ხიდაშელი: — ბოლო წლებში გერმანიაში ამ დონის ვიზიტი საქართველოს არცერთ ლიდერს არ ჰქონია. ეს არის საქართველოს ხელისუფლებისა და მის მიერ აღებული კურსის ღია, პირდაპირი მხარდაჭერა.

— ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე ერთი თვით ადრე განხორციელებული ვიზიტი კიდევ რაზე მიანიშნებს?

— გერმანია ევროკავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანაა. არ არის იმის მტკიცება საჭირო, რა გავლენა აქვს კანცლერს არამარტო ევროპაზე, არამედ მთელ მსოფლიოზე. მისი მიწვევით განხორციელებული ვიზიტი ღიად და მკაფიოდ მეტყველებს, რომ გერმანია საქართველოს განიხილავს, როგორც თანასწორ პარტნიორს, როგორც ევროპული სახლის თანასწორუფლებიან წევრს. ეს პირდაპირი მინიშნებაა, რომ გერმანია საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესში სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

— აფხაზეთსა და უკრაინაში მიმდინარე პროცესების ფონზე ასე ღია მხარდაჭერას ელოდით?

— ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გერმანიისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა ხდება აფხაზეთსა და უკრაინაში. ქვეყანა ან გიჭერს მხარს, ან არა. გერმანიის კანცლერის მიერ გადადგმული ნაბიჯი პირდაპირ მიანიშნებს, რომ გერმანია მხარს უჭერს საქართველოს. რაც შეეხება ჩვენს მიწაზე, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული და ყურადსაღები თემაა.

— ითქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება გახდა პროგნოზირებადი...

— აღნიშნული განცხადება არ მომისმენია, მაგრამ არ გამიკვირდება, ასე თუ თქვეს. ეს ნიშნავს, რომ ევროპელებმა და ამ შემთხვევაში გერმანიამ იცის, რას უნდა ელოდოს ჩვენგან და იცის, რომ ჩვენი ხელისუფლება არ ჩაიდენს რაიმე სისულელეს. აღნიშნული საბოლოოდ ნდობის მაღალ ხარისხს განსაზღვრავს, რაც ორმხრივ ურთიერთობებში ძალიან მნიშვნელოვანია.

ზურაბ აბაშიძე: — გერმანიასთან ძალიან ბევრი გვაქვს სამუშაო, რათა დავამტკიცოთ ჩვენი სწრაფვა ევროკავშირისა და ნატო-სკენ. გერმანიის მხარდაჭერა ღიაა და ეს ჯერ კიდევ თბილისში შტაინმაიერის ვიზიტის დროს დადასტურდა. ახლა კი ყველამ იცის, რომ ეს ქვეყანა საქართველოს განიხილავს, როგორც სრულუფლებიან და თანასწორ პარტნიორს.

— ეს ვიზიტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიმდინარე პროცესების ფონზე იძენს?

— რა თქმა უნდა. ამ ფონზე ეს ძალიან მნიშვნელოვანია და რაც მთავარია, ევროპა და კონკრეტულ შემთხვევაში, გერმანია არ მალავს, რომ ნებისმიერი გარეპროცესების მიუხედავად, საქართველოს ევროპულ სწრაფვას საფრთხე არ შეექმნება.

გიორგი მარგველაშვილი ირანში ოფიციალური ვიზიტით მიიწვიეს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საქართველოში ირანის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, აბას თალებიფარის შეხვდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობა განიხილეს. გამოითქვა სურვილი, გაღრმავდეს თანამშრომლობა ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართულებით. მათ ყურადღება რეგიონში საქართველოს გეოეკონომიკურ როლზე გაამახვილეს და უსაფრთხოების საკითხებზეც ისაუბრეს.

აბას თალებიფარმა ირანის პრეზიდენტის სახელით გიორგი მარგველაშვილი ირანში ოფიციალური ვიზიტით მიიწვია. ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის განსაკუთრებული მნიშვნელობა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით.

„ინტერპრესნიუსი“

რეზო თაბუკაშვილს აღმკვეთ ღონისძიებად 2000-ლარიანი გირაო შეეფარდა

ზურაბ ჭიაბერაშვილზე თავდასხმაში ბრალდებულ რეზო თაბუკაშვილს აღმკვეთ ღონისძიებად 2000-ლარიანი გირაო შეეფარდა. აღმკვეთი ღონისძიების აღნიშნული ფორმა ბრალდების მხარემ მოითხოვა, რასაც დაცვის მხარეც დაეთანხმა. პროცესს რეზო თაბუკაშვილიც ესწრებოდა.

ჭიაბერაშვილზე თავდასხმა 27 ივნისს, აბაშიძის ქ. 22-ში, ლიტერატურულ კაფეში მოხდა. ზურაბ ჭიაბერაშვილი ლიტერატურულ კაფეში ნოდარ ლადარიასთან ერთად იმყოფებოდა. ჭიაბერაშვილს თავს დაესხნენ რეჟისორი გიორგი მგელაძე და რეზო თაბუკაშვილი-უმცროსი. მას დაზიანებები თავის არეში აქვს მიყენებული.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველო ავღანეთში არასაბრძოლო მისიას განაგრძობს

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, თავდაცვის სამინისტრო მიესალმება აშშ-ს პრეზიდენტ ობამას განცხადებას, რომ ამერიკა განაგრძობს უსაფრთხოების ძალების გაფართოებას ავღანეთში: **„თავდაცვის სამინისტრო მიესალმება ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებას, რომ ისინი უერთგულებენ საკუთარ პოლიტიკას, 2014 წლის შემდეგ მხარი დაუჭირონ ავღანეთში უსაფრთხოების ძალების განვითარებას. ჩვენ, როგორც ნატო-სა და ამერიკის შეერთებული შტატების საიმედო პარტნიორი, ჩვენს სიტყვას შევასრულებთ და ამერიკელთა და ნატო-ს სხვა მოკავშირეებთან ერთად განვაგრძობთ არასაბრძოლო მისიას ავღანეთში 2014 წლის შემდეგ“.**

„ინტერპრესნიუსი“

როგორ და რამდენჯერ უნდა ავირჩიოთ ადგილობრივი ხელისუფლება და რატომ გველის ადმინისტრაციული კოლაფსი 3 თვეში



„თვითმმართველობა იყო და დარჩა ცოცხისა და ნაგვის მაყურებელ ინსტიტუციად!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

მერია, საკრებულო, გამგეობა, უბნების, სოფლებისა და ქალაქების წარმომადგენლები, ე.წ. მაჟორიტარები — ეს ის არჩევითი ორგანოები და თანამდებობებია, რომლებიც 15 ივნისს, ადგილობრივ არჩევნებზე უნდა დაკომპლექტდეს. ამას დანიშნული გუბერნატორიც დავამატოთ და საკმაოდ რთულ სისტემას მივიღებთ, სადაც პირდაპირი იერარქია უბრალოდ არ არსებობს. ვინ ვის ემორჩილება, ან ვის მივადგეთ კონკრეტული პრობლემის მოგვარების თხოვნით, ამის გარკვევაც ძნელია, მით უმეტეს, კითხვებზე პასუხს ვერც თვითმმართველობის კანონში ამოვიკითხავთ.

სამაგიეროდ, შეცვლილი კანონით, რომელმაც საბოლოო სახე 2014 წლის 5 თებერვალს მიიღო, არჩევნების მეორე დღესვე, რამდენიმე დიდ ქალაქს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭება. როგორც კანონში ვკითხულობთ, თვითმმართველი ქალაქი ქალაქის კატეგორიის დასახლებაა, რომელსაც მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი. თავად მუნიციპალიტეტი თვითმმართველი ერთეულია, რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ცენტრი, ჰყავს არჩევითი, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი და შემოსულებები. მუნიციპალიტეტს ჰყავს საკრებულო, რომელიც 4 წლით აირჩევა. მისი აღმასრულებელი ორგანო და უმაღლესი თანამდებობის პირი არის გამგებელი, თვითმმართველ თემში და მერი — თვითმმართველ ქალაქში. თავის მხრივ, ეს მერები და გამგებლები მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე არიან ანგარიშვალდებულნი და ისინიც, პირდაპირი წესით, 4 წლის ვადით აირჩევიან. რა იგულისხმება ამ სიტყვებისმიღმა ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ვინ ვისი უფროსია და რა პლუსები მოაქვს „თვითმმართველის“ სტატუსს ამა თუ იმ ქალაქისთვის? ამ ყველაფრის გასარკვევად „ვერსია“ თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ცენტრის ხელმძღვანელს, **დავით მელუას** დაუკავშირდა, რომელიც მარტივად გვიხსნის, რა მოგვეთხოვება ამომრჩევლებს 15 ივნისს და არჩეულებს 15 ივნისის შემდეგ: **„15 ივნისს, საარჩევნო კაბინაში 3 ბიულეტენი დაგხვდებათ. აქედან ერთი მერის ასარჩევადაა განკუთვნილი, თუ ქალაქში ცხოვრობთ, ხოლო თუ სოფლის მოსახლე ხართ, გამგებელს აირჩევთ. მეორე ბიულეტენში პარტიების ჩამონათვალია, რომლებიც საკრებულოს დაკომპლექტებენ. მესამე ბიულეტენით კი თქვენი უბნის ან სოფლის წარმომადგენელს აირჩევთ, ანუ ე.წ. მაჟორიტარს, რომელიც ასევე საკრებულოს წევრი იქნება და არა მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი პარლამენტში. რეალურად, დღეს სოფლებში არანაირი მმართველობა არ გვაქვს. აქამდე სოფლებს 4-კაციანი მმართველობა მაინც ჰყავდა, ახალმა კანონმა კი ესეც მოსპო. რაც შეეხება იმას, ვინ ვისი უფროსია, საქმეც ისაა, რომ აქ იერარქიული კიბე არ არსებობს. რეალურად, გუბერნატორი არც მერის უფროსია და არც გამგებლისა. გუბერნატორი საქართველოს მთავრობის წარმომადგენელია კონკრეტულ მხარეში, სადაც სამთავრობო პროგრამებს განაგებს. მერი ადგილობრივი არჩეული ხელისუფლების მეთაურია, ხოლო საკრებულო ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ბიუჯეტს ამტკიცებს და ასე ვთქვათ, ადგილობრივ კანონებს იღებს. საკრებულოს მერის ზედამხედველობისა და მეტიც, გადაყენების უფლებაც კი აქვს, თუმცა არც მერია ექვემდებარება საკრებულოს და არც საკრებულო მერიას, ისინი ურთიერთდამბალანსებელი სტრუქტურებია. პირდაპირი წესით აირჩევიან გამგებლებიც, რომელთაც საკრებულო აკონტროლებს. ეს ე.წ. უბნებისა და სოფლების მაჟორიტარები, ანუ წარმომადგენლებიც საკრებულოს წევრები არიან. თუმცა ისინი პარტიული სიით კი არ აირჩევიან, ხალხი კონკრეტული სოფლების ინტერესების გამტარებლად ირჩევს. მაგალითად, ერთ-ერთი ქალაქის, ქუთაისის მაგალითზე გეტყვით: ქუთაისში პარტიული სიით 15 ადამიანი გვყავს, ამას ემატება 10 გამგებელი, რადგან ქუთაისი 10 უბნად დაიყო და ერთიც არჩეული მერი, რომლის გადაყენების მექანიზმი ისევ რჩება საკრებულოს.“**

იმედია, ქუთაისში მერების გადაყენების ტრადიცია ახლა მაინც შეიცვლება, მაგრამ უფრო საინტერესო ისაა, რა შეიცვლება მას მერე, რაც ქალაქები თვითმმართველის სტატუსს მიიღებენ. გარდა იმ ისტორიული ქალაქებისა, რომელთაც ეს სტატუსი ისედაც ჰქონდათ, არჩევნების შემდეგ თვითმმართველი ქალაქები გახდება ზუგდიდი, ოზურგეთი, ამბროლაური, ახალციხე, გორი და თელავი. თუმცა, როგორც დავით მელუა აცხადებს, ამ ქალაქების ცხოვრება, სტატუსთან ერთად, სულაც არ შეიცვლება: **„ამით აბსოლუტურად არაფერი იცვლება. ქალაქების უფლებები, ძალაუფლება, ფული და ქონება იგივეა. შეიცვლება მხოლოდ ფირნიში ქალაქის შესასვლელში და უბრალოდ ქალაქის ნაცვლად, თვითმმართველი ქალაქი დაეწერება. მე რომ მკითხოთ, გორელებს ის გაეხარდებათ, მეგაპოლისი რომ დავარქვათ და ბარემ, მეგაპოლისი დავაწეროთ შესასვლელშიც. რეალურად ხომ გორს, სახელის შეცვლით, არც მომატებია და არც დაკლებია რამე. ქალაქს ზუსტად იგივე ფუნქციები აქვს, რაც მაგალითად, წალენჯიხას. გორი, ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის დროს, თვითმმართველი ქალაქი იყო, შემდეგ რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი გახდა და ამის მერე იქცა მუნიციპალიტეტის რაიონულ ცენტრად, რამაც გორელები ცოტა გაანაწყენა. მას ახლა ქალაქის სტატუსი დაუბრუნდა და ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შემდეგ თვითმმართველი ქალაქიც გახდება, მაგრამ მას სხვა ქალაქებზე მეტი უფლებები არ აქვს და ზუსტად იგივე იურიდიული ბაზა რჩება, რაც ქარელის მუნიციპალიტეტს“.**

უფლებრივად და ცხადია, სტატუსითაც, განსაკუთრებულ მდგომარეობაში კვლავ თბილისი რჩება. ბოლო ბოლო, თბილისის შესახებ ცალკე კანონიც არსებობს და მსგავსი დამოუკიდებლობა სხვა არც ერთ ქალაქს არ აქვს. სამაგიეროდ, დედაქალაქის შემთხვევაში, მეორე უკიდურესობა იკვეთება. როგორც თვითმმართველობის ასოციაციის ცენტრის ხელმძღვანელი აცხადებს, დეცენტრალიზაციის სახელით დედაქალაქის უბნებად დაშლა რეალური ცვლილებების მომტანი მაინც ვერ იქნება: **„არ შეიძლება, მილიონნახევარი ადამიანი ერთი შენობიდან იმართებოდეს. ასეთი რამ მსოფლიოში არსად ხდება. რა თქმა უნდა, უნდა გვყავდეს ერთი მერი, მაგრამ თბილისის სხვადასხვა უბანს თავისი საბჭოებიც სჭირდება.**

დასასრული მე-4 გვერდზე

პარლამენტის ბიუჯეტი აღარ გაიზრდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტის მომავალი წლის ბიუჯეტი არ გაიზრდება.

მისი თქმით, საზოგადოებაში ბიუჯეტის მომავალი წლის პარამეტრებმა გარკვეული ვენაბათაღელვა გამოიწვია, ამიტომ უმრავლესობის გადაწყვეტილებით, საკანონმდებლო ორგანოს ბიუჯეტი იგივე რჩება, რაც 2014 წელს არის: **„უმრავლესობის პოზიცია ასეთია, რომ მომავალი წლის პარამეტრები დარჩეს იგივე და არ გაიზარდოს. რაც შეეხება გარკვეულ მუხლობრივ ცვლილებებს, ამ საკითხს შემდგომში დავუბრუნდებით, როცა პარლამენტი მუშაობას შეუდგება, ამიტომ პარლამენტის 2015 წლის ბიუჯეტის პარამეტრები 2014 წლის იდენტური იქნება“.**

16 მაისს, პარლამენტმა მიიღო დადგენილება საქართველოს პარლამენტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ, რომლის თანახმად პარლამენტის ბიუჯეტი მომავალი წლისთვის 54 695 000 ლარით განისაზღვრა, რაც წლევანდელთან შედარებით, 2 604 000 ლარზე მეტია.

გაზრდილი თანხით პარლამენტმა შრომითი ანაზღაურების გაზრდა და ავტოპარკის განახლება დაგეგმა.

„პირველი“

აზერბაიჯანი ქართულ სამხედრო ტექნიკას შეიძენს?

აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრის ზაკირ ჰასანოვის ინფორმაციით, აზერბაიჯანული მხარე შესაძლოა ქართული წარმოების სამხედრო ტექნიკის შეძენით დაინტერესდეს. ზაკირ ჰასანოვის თქმით, აზერბაიჯანი დაინტერესებულია „დელტას“ წარმოებით. მისი ვიზიტის განმავლობაში დაგეგმილია „დელტას“ მიერ წარმოებული სამხედრო ტექნიკის აზერბაიჯანული დელეგაციისთვის გაცნობა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. აზერბაიჯანელ კოლეგას, გენერალ-პოლკოვნიკ ზაკირ ჰასანოვს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მასპინძლობს. ზაკირ ჰასანოვი გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. ასევე ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისს“ ესტუმრა.

ვიზიტის მეორე დღეს, 30 მაისს, აზერბაიჯანის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი ქართველ კოლეგასთან ერთად ბათუმში გაემგზავრება. გენერალ-პოლკოვნიკი ზაკირ ჰასანოვი პოლიციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში დღეს დასრულდება.

„ინტერპრესნიუსი“

რუსეთის, ბელორუსისა და ყაზახეთის პრეზიდენტებმა ევრაზიის კავშირის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს

სამივე ქვეყნის პარლამენტმა შეთანხმების რატიფიცირება 2014 წლის ბოლომდე უნდა მოახდინოს და 2015 წლის 1 იანვრიდან ევრაზიის ეკონომიკური კავშირი ფუნქციონირებას დაიწყებს.

მონაწილე ქვეყნებმა ენერგეტიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკა უნდა გაატარონ.

შეთანხმებაზე მუშაობა 2011 წლის ნოემბერში დაიწყო, როდესაც ვლადიმერ პუტინმა, ალექსანდრე ლუკაშენკომ და ნურსულთან ნაზარბაევმა ევრაზიის ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ დეკლარაცია მიიღეს. 29 აპრილს სამივე ქვეყნის ლიდერმა მინსკში მოლაპარაკებების ფინალური რაუნდი გამართეს.

„პირველი“

გიორგი იაშვილი

ნავარო და თარხნიშვილმა მხოლოდ პატრიარქს ვერაფერი მოუხერხეს

რატომ არ არის სანდო NDI-ს კვლევები და რა ინტერესები აქვს ამ ორგანიზაციას?

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ქართველ ამომრჩეველს NDI-ის მიმართ ნდობა დაეკარგა. კვლევითმა ორგანიზაციამ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გამოაცხადა, რომ მათი კვლევის შედეგების მიხედვით, „ქართულ ოცნებას“ 12%-იანი რეიტინგი ჰქონდა, ხოლო მმართველი გუნდის რეიტინგი 40%-ს აჭარბებდა. რა მოხდა არჩევნებზე და როგორი შედეგი დაფიქსირდა, კარგად მოგეხსენებათ. ამის გამო წესითა და რიგით, ამ ამერიკულ ორგანიზაციას მინიმუმ ხელმძღვანელი უნდა შეცვლოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად — მას ისევ ლუის ნავარო ხელმძღვანელობს, ისევ კვლევებს ატარებს და ისევ ამტკიცებს, რომ ეს კვლევები რეალობასთან ახლოსაა.

ამ ინსტიტუტის კვლევებს არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია აყენებს ეჭვქვეშ და ერთ-ერთი მათგანი რკინის ქალამნების ჩაცმასა და სათავო ოფისამდე მისვლას გეგმავს. „ვერსია“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლების“ თავმჯდომარეს, ბიორგი ჭულუხაძეს დაუკავშირდა.

— ბატონო გიორგი, ნავაროს ინსტიტუტს არ ენდობით და მის მიერ ჩატარებულ კვლევებს კითხვისნიშნის ქვეშ აყენებთ?

— მართალია. ერთხელ და სამუდამოდ, უნდა გავარკვიოთ, რა უნდა ამ ინსტიტუტს, რისთვის იბრძვის და ვის ინტერესებს ემსახურება.

— და რატომ გაგიჩნდათ ეჭვი, რომ ვინმეს ინტერესებს ემსახურება?

— ეს ორგანიზაცია მხოლოდ „სი-არ-ესს“ უკვეთავს კვლევებს, აღნიშნული კომპანია კი ლევან თარხნიშვილმა ჩამოაყალიბა და მისი ხელმძღვანელიც იყო, სანამ წინა ხელისუფლებამ ცესკო-ს თავმჯდომარედ არ გადაიყვანა. ამის შემდეგაც, ნავარო და მისი გუნდი, მხოლოდ „სი-არ-ესს“ ეყრდნობოდნენ მაშინ, როცა 2012 წლის არჩევნებში ამ ორგანიზაციას 40%-იანი ცდომილება ჰქონდა. არადა, ანალოგიური ამერიკული თუ ევროპული კვლევითი ორგანიზაციები, 5%-იანი შეცდომის დაშვების შემდეგ, 4 საპრეზიდენტო ვადას, ანუ 20 წელს ანდომებენ ნდობის აღდგენასა და ბაზარზე დაბრუნებას. NDI კი ვითომც აქ არაფერი, არარეალურ კვლევებს აქვეყნებს და არ აინტერესებს, ვინ რას იტყვის.

— ჩვენ ამ სფეროს ექსპერტებსაც ვესაუბრეთ და ისინი ამბობენ, რომ NDI რეალურად ერთადერთი მოთამაშეა ბაზარზე...

— არ არის მართალი. არსებობს რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც ანალოგიურ კვლევებს ატარებს. ჩვენც ჩავატარეთ კვლევა და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 707 ადამიანი გამოვკითხეთ. გაირკვა, რომ 58.2% NDI-ს კვლევებს საერთოდ არ ენდობა, 24%-ს საერთოდ არ სმენია ამ კვლევების შესახებ, ხოლო 17.8% ენდობა. ეს ორგანიზაცია ყველა რეიტინგს საკუთარი შეხედულებებით წერს და ერთადერთი, პატრიარქს ვერ ეხება.

— რატომ?

— დარწმუნებული ვარ, ამ თემაზე ბევრი აქვთ ნაფიქრი, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრეს. პატრიარქის ავტორიტეტი იმდენად დიდი და ურყევია, რომ იძულებული არიან, ეს ყოველ კვლევაში აღიარონ. აქ საქმე მხოლოდ ნავაროსა და თარხნიშვილში არ არის, საქმეში სერიოზულად არიან ჩართული მეთიუ ბრაიზა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი.

— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?

— ის, რომ ბრაიზა დღემდე კბილებით იცავს სააკაშვილს და ხმამაღლა აცხადებს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ ის დასასჯელი იქნება, არავინ უნდა შეეხოს. ბილდტი კი იმ პიარკომპანიის დირექტორი იყო, რომელსაც წინა ხელისუფლებამ ათეულობით მილიონი გადაუხადა.

— როგორ გგონიათ, NDI-ს სათავო ოფისის ხელმძღვანელებმა არსებული ვითარების შესახებ არაფერი იციან?

— ვერ გეტყვით. მგონია, რომ სრული ინფორმაცია არ აქვს და ვაპირებთ, მათ ყველაფერი დეტალებში შევატყობინოთ. კიდევ ერთ კვლევას ვატარებთ და საზოგადოება მალე იხილავს ძალიან საინტერესო შედეგებს. რაც შეეხება სათაო ოფისს, მგონია, რომ ნავაროს მიერ დაშვებული უზარმაზარი შეცდომების შესახებ, იქ მართლა არაფერი იციან.

— ცოტა უცნაური ხომ არ არის, დღევანდელი ტექნოლოგიების გათვალისწინებით, იქ რამე არ იცოდნენ?

— დიახ, მაგრამ დეტალებია მთავარი. „სი-არ-ესისა“ და NDI-ის კვლევები ერთი ერთში რომ ემთხვეოდა ერთმანეთს და წლების განმავლობაში რეალობას მოწყვეტილი იყო, ამას ახსნა სჭირდება. გვაინტერესებს, ბოლოს და ბოლოს რა უნდა ნავაროს და რისი დამტკიცება სურს კვლევებით, რომელსაც რეალობასთან, პრაქტიკულად, არაფერი აქვს.

როგორ და რამდენჯერ უნდა ავირჩიოთ ადგილობრივი ხელისუფლება და რატომ გველის ადმინისტრაციული კოლაფსი 3 თვეში

მე-3 გვერდიდან

აი, რა საერთო აქვს ერთმანეთთან გლდანსა და აფრიკის დასახლებას? მათი ერთი შენობიდან მართვა სრული ანაქრონიზმია. რაკი დედაქალაქში ქვეყნის სრული მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს, მართვის უფრო სწორი პრინციპი აქ ორდონიანი თვითმმართველობის შემოღება იქნებოდა. უნდა არსებობდეს პატარა საბჭოები სხვადასხვა უბანში, ასე ვთქვათ, ნაკლები გავლენის მქონე და უფრო გავლენიანი მერია და საკრებულო. საბჭოთა კავშირის დროსაც მართვა ორდონიანი იყო და ქვედა დონეს სახალხო დეპუტატთა საბჭო წარმოადგენდა. ახლაც იყო თვითმმართველობის ორდონიან სისტემაზე გადასვლაზე საუბარი, მაგრამ მერე, რატომღაც, მთავრობის მიერ დამტკიცებული კონცეფციიდან ეს თემა საერთოდ ამოვარდა“.

თვითმმართველის სტატუსმიღებული ქალაქები კი კვლავ ცენტრალურ ხელისუფლებასა და თბილისზე რჩება ჩამოკიდებული. ეს ცარიელი სიტყვები არ გეგონოთ. მიუხედავად მერის, გამგებლის, მაჟორიტარის და საკრებულოს არჩევისა, თქვენს სოფელსა თუ ქალაქში გადამწყვეტი სიტყვა მაინც მთავრობის მიერ დანიშნულ გუბერნატორს ეთქმის, ისიც საუკეთესო შემთხვევაში. ხოლო თუ საქმე უფრო გართულდა, მაშინ ისევ თბილისში ჩამოსვლა და კონკრეტული სამინისტროს მისაღებში დაცდა მოგიწევთ. იმ შემთხვევაში, თუ სტიქიამ დაგაზარალათ, ან თუნდაც ვენახის შეწამვლა და სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა გსურთ, ამ საქმეში ვერც მერია გშველით და ვერც საკრებულო: **„აი, ეს ის საკითხია, რაზეც ამ ხელისუფლებას სულ ვეჩხუბები. ამბობენ, ხელისუფლების დეცენტრალიზაცია მოვახდინეთო და სინამდვილეში, მსგავსი არაფერი გაუკეთებიათ — თუ გლეხი ხართ და ვენახი დაგესეტყვათ, ისევ სოფლის მეურნეობის სამინისტროში უნდა მიხვიდეთ, ან, საუკეთესო შემთხვევაში, დანიშნულ და არა არჩეულ გუბერნატორს უნდა მიადგეთ. თუ ეს გუბერნატორი ფხიანი კაცი ვერაა, მაშინ ისევ სამინისტროში მოგიწევთ წასვლა, მაგრამ, თუ ფხიანი აღმოჩნდა, სამინისტროში თავად გადარეკავს და სოფლის მეურნეობის მინისტრს წაეჩხუბება. კონკრეტული გუბერნატორის პიროვნული თვისებების იმედად ვრჩებით, რადგან სისტემა არ მუშაობს. ხელისუფლებამ კი რა გააკეთა — გამოყო თვითმმართველი ქალაქები, რომელთაც, სინამდვილეში, თუნდაც სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ადგილზე მოქმედების ფუნქცია და საშუალება არ გადასცემია. ერთი სიტყვით, თვითმმართველობა იყო და დარჩა ცოცხისა და ნაგვის მაყურებელ ინსტიტუციად!“**

არც ის იფიქროთ, ახალ კანონს კარგიც არაფერი მოუტანია, მაგალითად, ძალიან კარგი და წინგადადგმული ნაბიჯია, რომ მერებსა და გამგებლებს აღარ დაგვინიშნავენ და თავად ავირჩევთ. თუმცა, მაგალითად არჩეული მერის დაცვის მექანიზმი კანონში იმდენად სუსტადაა ჩადებული, შესაძლოა, ნებისმიერი პოლიტიკური დაპირისპირება მერის მეორედ, მესამედ და ა.შ. დანიშვნის საფუძველი გახდეს. თუ თვითმმართველობის რეფორმას ამ კუთხით შევხედავთ, მაშინ ის კანონი კი არა, ნელი მოქმედების ბომბი ყოფილა. **დავით მელუა: „საკრებულოს წევრებმა ერთ დილას შეიძლება გაიღვიძონ და ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, იმიტომ, რომ არჩეული მერი სახეზე არ მოსწონთ, წევრთა ერთი მესამედის განცხადებითა და უმრავლესობის ხმებით, გადააყენონ. მერე ამ მერს რომ გაუშვებენ, საკრებულოს თავმჯდომარე მერად დაინიშნება. შემდეგ, შესაძლოა, საკრებულომ მეორე დღეს გადაწყვიტოს, არც ეს კაცი მოსწონს სახეზე, ისიც გადააყენოს და ასე დაუსრულებლად. კანონში ისეთი სისტემაა ჩადებული, საკრებულოს ყველა წევრი თითოჯერ მაინც შეძლებს მერის პოსტის დაკავებას. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია და ადასტურებს, რომ კანონი გამოუცდელმა იურისტებმა დაწერეს. ე.ი. 27-მა კაცმა, ანუ საკრებულოს უმრავლესობამ რომ მოილაპარაკოს და თქვას, ცოტ-ცოტა ხნით მერი ყველა გავხდეთო, კანონი მათ ამ პროცედურის გამეორების საშუალებას 27-ჯერ მისცემს. კარგია, რომ მერები და გამგებლები პირდაპირი წესით აირჩევიან, მაგრამ კანონი იმდენად წინააღმდეგობრივია, ბევრ პრობლემას გამოიწვევს. თუ ყველა სახელისუფლო რგოლი ერთი პარტიიდან იქნება და ყველას ერთად შს სამინისტრო გააკონტროლებს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ თუ თვითმმართველობაში მრავალპარტიულობა დარჩა, სადღაც 3-4 თვეში ძაღლი პატრონს ვერ იცნობს! ამ პოლიტიკურ გარჩევებსა და ძიძგილაობას, შესაძლოა, მთელი 3,5 წელი გადავაყოლოთ. თუ არჩეულ მერსა და საკრებულოს შორის დაპირისპირება მოხდება და ხელისუფლება აირევა, გუბერნატორის ქვემოთ, ფაქტობრივად, აღარაფერი რჩება, ის ჰაერში გამოეკიდება და შესაძლოა, დიდი ადმინისტრაციული კოლაფსი დაიწყოს!“**

დათა ახალაია საბერძნეთის სასამართლომ გაათავისუფლა

ინფორმაციას თავდაცვის ყოფილი მინისტრის მეუღლე ანი ნადარეიშვილი ავრცელებს და ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი ადასტურებს.

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის სასამართლო პროცესი ქალაქ პატრასში 29 მაისს გაიმართა. პროცესზე ახალაიას საქართველოში ექსტრადირების საკითხი განიხილეს. ადვოკატის განცხადებით, დათა ახალაია სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა, თუმცა ექსტრადირების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება 2 თვის განმავლობაში იქნება მიღებული.

საბერძნეთის სასამართლომ დათა ახალაიას გათავისუფლების გადაწყვეტილება გირაოს გადახდის სანაცვლოდ მიიღო. ანი ნადარეიშვილის განცხადებით, არ აქვს ინფორმაცია, რა ოდენობის გირაოს გადახდა დაეკისრა დათა ახალაიას, თუმცა ოჯახის ახლობლები მზად არიან, ნებისმიერი თანხა გადაიხადონ, უძრავ-მოძრავი ქონების ჩადებით. რაც შეეხება ექსტრადირების საკითხის განხილვის ორი თვით გადადებას, ნადარეიშვილის თქმით, ამის მიზეზი საქართველოს პროკურატურის მასალები გახდა, რომელიც „საბერძნეთის სასამართლომ დაიწუნა“.

დათა ახალაია საბერძნეთში რამდენიმე თვის წინ დააკავეს. იგი საბერძნეთიდან იტალიაში ყალბი საბუთებით გადასვლას ცდილობდა. საქართველოში დათა ახალაიას წინააღმდეგ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მათ შორის ნავთლუღის სპეცოპერაცია და გირგვლიანის მკვლელობის საქმე.

„ინტერპრესნიუსი“

ქართული მართლმსაჯულება საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში

მოქალაქისთვის, ობიექტურ გადაწყვეტილებასთან ერთად, სასამართლოსგან ასევე მნიშვნელოვანია სწრაფი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება. წლების განმავლობაში სასამართლო სისტემა ერთ ბიუროკრატიულ წრედ იყო ქცეული, რომელიც უამრავ ჟურნალში იკარგებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის პრეზენტაციაზე

სასამართლოში შესული ნებისმიერი განცხადება იმთავითვე პირველადი რეგისტრაციის ჟურნალში ხვდებოდა, შემდეგ იგივე ინფორმაცია გადადიოდა საქმის კატეგორიების განმსაზღვრელ ჟურნალში, შემდეგ ალფავიტურ ჟურნალში, ივსებოდა საალრიცხო სტატისტიკური ბარათი, რის შემდეგაც ინფორმაცია ხვდებოდა მოსამართლეთათვის გადასაცემ ჟურნალში, თავის მხრივ იგივე ინფორმაცია ინიშნებოდა თანაშემწის ცნობარში და დამატებითი პროცედურების გავლის შემდეგ ეს განცხადება აღწევდა მოსამართლემდე. ამ პროცედურას, მეტწილად, თან ახლდა გაუგებრობები, მოქალაქეც ხშირად საკუთარი განცხადების ბედს სასამართლოს სხვადასხვა უწყების თანამშრომელთან არკვევდა, რის გამოც, უამრავ დროს, ენერგიას და ნერვებს ხარჯავდა. ბოლო პერიოდში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ქართული მართლმსაჯულება ახალ, თანამედროვე მეთოდზე გადავიდა - ელექტრონულ საქმის წარმოებაზე. ახალი სისტემა სამართალწარმოების ყველა დარგს მოიცავს - სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას. როგორც ამ პროგრამის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე **მამუკა ახვლედიანი** ამბობს, ქართული მართლმსაჯულება საქმის წარმოების ელექტრონულ ქსელში უკვე მთლიანადაა ჩართული.

სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისთვის სიახლე არ გახლავთ. ეს პროგრამა ევროპის ბევრ სახელმწიფოში ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან დაინერგა და იგი ძალიან წარმატებულ პროექტად ითვლება. ამიტომ, თითქმის ყველა ქვეყნის მართლმსაჯულება ცდილობს ამ სისტემაზე გადასვლას. როგორც ექსპერტები ამბობენ, ყოველწლიურად ამ პროგრამების შექმნისათვის მსოფლიოში 5 მილიარდ დოლარზე მეტი იხარჯება. თუმცა, იმის გამო რომ იგი საკმაოდ რთული შესაქმნელი და ასამოქმედებელია, ხშირად მისი დანერგვის მცდელობა უშედეგოდ სრულდება. მიუხედავად დიდი მონდომებისა, თურმე სასამართლოს საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მხოლოდ 30 პროცენტშია დანერგილი. თითოეული ასეთი პროგრამის შესაქმნელად დაახლოებით ათი წელია საჭირო. საქართველოში მართლმსაჯულების საქმიანობის კომპიუტერით მართვაზე გადაყვანის იდეა თავის დროზე ქართველ კოლეგებს სწორედ ამერიკელებმა მოაწოდეს. თუმცა, პროგრამის სირთულის გამო, დონორ ორგანიზაციებს ისიც ურჩევიათ, სისტემის პრაქტიკულ დანერგვაზე არც იოცნებოთ და, ჯერჯერობით, მის თეორიულ დამუშავებაზე იფიქრეთო. მოკლედ, ამ პროგრამაზე ფიქრი ქართული მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა დაახლოებით ხუთი წლის წინ დაიწყეს და, საკმაოდ მცირე დროის მიუხედავად, დღეს სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა უკვე დანერგილია.

„სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისთვის სიახლე ნამდვილად არ გახლავთ. ეს პროგრამა ევროპის ბევრ სახელმწიფოში ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან დაინერგა და თითქმის ყველა ქვეყნის მართლმსაჯულება ცდილობს ამ სისტემაზე გადასვლას. ექსპერტთა თქმით, ყოველწლიურად ამ პროგრამების შექმნისათვის 5 მილიარდ დოლარზე მეტი იხარჯება. თუმცა, იმის გამო რომ იგი საკმად რთული შესაქმნელი და ასამოქმედებელია, ხშირად მისი დანერგვის მცდელობა უშედეგოდ სრულდება. თითოეული ასეთი პროგრამის შესაქმნელად და ასამუშავებლად დაახლოებით რვა-ათი წელია საჭირო.

საქართველოში მართლმსაჯულების საქმიანობის ელექტრონულ მართვაზე გადაყვანის იდეა თავის დროზე სწორედ ამერიკელებმა მოგვაწოდეს. თუმცა, პროგრამის სირთულის გამო დონორმა ორგანიზაციებმა ისიც გვირჩიეს, სისტემის პრაქტიკულ დანერგვაზე არ იოცნებოთ, ჯერჯერობით მის თეორიულ დამუშავებაზე იფიქრეთო.

მოკლედ, ამ პროგრამაზე ფიქრი დაახლოებით ექვსი წლის წინ დავიწყეთ. სასამართლოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. ჯგუფის მიზანი იყო სასამართლოში შეგვექმნა საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა.

თავდაპირველად მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვქონდა, რა ტიპის პროგრამა უნდა გაგვეკეთებინა და ორი წლის მანძილზე მხოლოდ სამუშაო გეგმას ვქმნიდით და ვხვეწდით, რაც ურთულესი პროცესი იყო. ძალზე დიდი დახმარება გაგვიწია მსოფლიოში ამ მიმართულებით არსებულმა გამოცდილებამ. გავეცანით არა მხოლოდ იმ ქვეყნების პრაქტიკას, სადაც მსგავსი ტიპის პროგრამები მუშაობს, იმ ქვეყნების გამოცდილებასაც, სადაც ჩავარდა პროექტები. უცხოური პრაქტიკის გათვალისწინებით გამოვრიცხეთ ყველა უზუსტობა, ავიღეთ ყველა დადებითი მხარე, ჩვენი გამოცდილება და იდეები დავუმატეთ და რაც მივიღეთ სახეზეა - დღეს სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა უკვე დანერგილია.

იმისათვის, რომ სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა შეგვექმნა ათამდე განვითარებული ქვეყნის მაგალითს გავეცანით, მაგრამ აშკარა იყო, რომ ამ სისტემის კოპირებას ვერ მოვახდენდით, რადგან ჯერ ერთი, მათი პროექტები წლების წინ არის შექმნილი და ვინაიდან კომპიუტერული ტექნოლოგიები ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება, ეს სისტემები უკვე მოძველებულია. და მეორეც, ყველა ქვეყანას და, მათ შორის, საქართველოსაც განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა აქვს, ამიტომ ელექტრონული სისტემის შექმნა, ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყეთ. ასეთ მცირე დროში, ასეთი სირთულის პროგრამის შექმნა ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ ჩვენმა ჯგუფმა, რომელიც პროფესიონალი სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული მართლაც შეუძლებელი შესძლო," - ამბობს მამუკა ახვლედიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის განმარტებით, მართლმსაჯულების საქმის წარმოების კომპიუტერულ სისტემაზე გადაყვანა ერთნაირად სასარგებლოა, როგორც მოსამართლეებისთვის, ასევე პროცესში მონაწილე სხვა პირებისთვის და ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის.

ელექტრონულ სიტემაში უამრავი ტექნიკური ნიუანსია გათვლილი, ამიტომ მათი გადმოცემა წერილობითი ფორმით თითქმის შეუძლებელია. თუმცა, სისტემის მოკლე დახასიათებით, მკითხველი მიხვდება, რომ საქმე ნამდვილად უნიკალურ პროექტთან აქვს, რომელიც პროცესში მონაწილე ყველა წევრს, დაწყებული მოსამართლიდან, რომ არაფერი ვთქვათ განმცხადებელზე და მის ადვოკატზე, ჩვეულებრივი სასამართლოს თანამშრომლით დამთავრებული, საქმეს ყველას მინიმუმამდე უმსუბუქებს.

მოკლედ, ელექტრონულ სისტემაში მართლაც უამრავი ტექნიკური ნიუანსია გათვლილი, თითოეულ დეტალზე საუბარი ახლა ძნელია, იმდენად მრავლისმომცველია იგი.

ამ პროგრამით განსაკუთრებით შეუმსუბუქდა შრომა მოსამართლეს, ის აღარ არის დაკავებული ტექნიკური საკითხების მოგვარებით. სასამართლოში შესული განცხადებები, „შემოსული ფოსტის ჟურნალში" მოხვედრისთანავე, დავის კატეგორიების მიხედვით ხარისხდება, რის შემდეგაც თანაბარი დატვირთვით, ავტომატურად ნაწილდება მოსამართლეებზე, რაც მოსამართლის გრაფაში მაშინვე აღინიშნება. ამის შემდეგ მოსამართლე კომპიუტერშივე იწყებს საქმეზე მუშაობას. სისტემის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება, ის, რომ საქმის წარმოების ტექნიკური ნაწილი, რომელსაც მოსამართლის შრომის 30-40 პროცენტი ეთმობოდა, პროგრამაში შაბლონური ფორმით არის მოცემული და მოსამართლეს მხოლოდ ინტელექტუალურ ნაწილზე, გადაწყვეტილების დასაბუთებაზე უხდება მუშაობა. ანუ, მოსამართლის საქმიანობიდან ტექნიკური ნაწილი ამოვარდა და მოსამართლეს ინტელექტუალური მუშაობისთვის უფრო მეტი დრო რჩება, რაც წარმატებით აისახება მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ხარისხზე.

გარდა ამისა, სისტემა თავად აკონტროლებს საქმის განხილვის ვადებს, რაც ვადების დარღვევას, ფაქტობრივად, გამორიცხავს. მოსამართლეს შეუძლია გაცემული დავალებების კონტროლიც და იმის ნახვაც, თუ როდის აქვს ჩანიშნული სხვა სასამართლო სხდომები.

სპეციალური პროგრამა მოსამართლეს იმასაც ატყობინებს, საქმეში დასახელებული პიროვნება ხომ არ არის არასრულწლოვანი და რა სანქციების გამოყენების უფლება აქვს მოზარდი ბრალდებულის შემთხვევაში.

მოსამართლის მიერ საქმის დასრულებულად გამოცხადების შემდეგ, რაც სპეციალური მონიშვნით დასტურდება, ამ საქმეში შენიშვნის შეტანა შეუძლებელი ხდება თვით მოსამართლის მხრიდანაც კი. საქმე ავტომატურად გადადის ვებ გვერდზე (info.court.ge) და მას მხარე ეცნობა.

მოსამართლეს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია პროგრამაში შევიდეს და მიიღოს ინფორმაცია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, შეიქმნა საძიებო სისტემა, რაც ერთგვაროვანი პრაქტიკისთვისაა მნიშვნელოვანი. მოსამართლეს შესაძლებლობა ექნება ნებისმიერ მისთვის საჭირო საქმეზე მოიძიოს არსებული პრაქტიკა და გაეცნოს მას. ნებისმიერი მუხლის ან საკვანძო სიტყვის სისტემაში აკრეფით, მოსამართლეს ან სხვა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს ამა თუ იმ საქმეზე არსებული სასამართლო პრაქტიკა. საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება გამოქვეყნდება დაშტრიხული ფორმით. ადვოკატს, სტუდენტს, მეცნიერს და სხვა დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს მოიძიოს მისთვის საინტერესო საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები. ეს ერთგვაროვანი პრაქტიკის უფრო მეტად განვითარებასაც გამოიწვევს და მოსამართლეების კვალიფიკაციის ზრდასაც ხელს შეუწყობს.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლის საქმიანობის ხელშეუხებლობის მიზნით, მისი გვერდი მკაცრად არის დაცული, სხვა მოსამართლეს, მათ შორის სასამართლოს თავმჯდომარესაც, ამა თუ იმ საქმის ნახვა მხოლოდ ბარათის სახით შეუძლია. სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში არა მარტო მოსამართლეების და საქმეში მონაწილე მხარეების ინტერესებია გათვალისწინებული, არამედ იმ ხალხის, ვინც სასამართლოს საქმიანობით არის დაინტერესებული. ახალ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანალიტიკურ ნაწილს. კერძოდ, პროგრამა ავტომატურად აკეთებს სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკას, როგორც ციფრების სახით, ასევე საქმეების კატეგორიების და თვით ბრალდებულთა ასაკის და სქესის მიხედვით.

აი, ეს და კიდევ სხვა უამრავი სამოსამართლეო საქმიანობა იწარმოება ელექტრონულ სისტემაში, რაც მოსამართლის დროს და ენერგიას დაზოგავს, მოსამართლეებს აღარ მოუწევთ ტექნიკური საკითხების მოგვარებაზე ზრუნვა, ისინი მხოლოდ საქმეზე გამოსატან გადაწყვეტილებაზე იქნებიან სრულად ორიენტირებული, რაც მართლმსაჯულების ხარისხს კიდევ უფრო გაზრდის", - აცხადებს მამუკა ახვლედიანი.

ახალი, გამჭვირვალე სისტემის დანერგვით გარდა იმისა, რომ შეუმსუბუქდა შრომა მოსამართლეებს და სასამართლოს სხვა თანამშრომლებს, სასამართლოს ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი გახდა მოქალაქეებისთვის. სასამართლოში შესული განცხადება პირდაპირ რეგისტრირდება პროგრამის სპეციალურ გრაფაში - „შემოსული ფოსტის ჟურნალში", სადაც ავტომატურად ინიშნება შეტანის თარიღი, ეძლევა სპეციალური კოდი და ა.შ. პარალელურად, საქმე ხვდება ვებგვერდზე - info.court.ge, რაც იმას ნიშნავს, რომ ამავე დღიდან მოქალაქეს შეუძლია ნებისმიერ დროს აკრიფოს პაროლი და გააკონტროლოს საკუთარი საქმის მსვლელობა. ყველა მოქმედება, რომელიც საქმეზე განხორციელდება, ვთქვათ, რომელ მოსამართლეს დაეწერა იგი, რა შენიშვნა შეიტანა მოსამართლემ, როგორი განაჩენი ან განჩინება გამოიტანა, ავტომატურად აისახება ვებგვერდზე. აქედან გამომდინარე, მოქალაქეს აღარ სჭირდება ინფორმაციის მისაღებად სისტემატურად ტელეფონზე რეკვა ან სასამართლოში სიარული. აქამდე თუ ერთ კონკრეტულ საქმეზე ინფორმაციის გაცემა მხოლოდ მოსამართლის თანაშემწეს შეეძლო, ამ სისტემის დანერგვის შემდეგ, მოქალაქეს თუ კომპიუტერი არ აქვს, სასამართლოს ნებისმიერი თანამშრომელი მოემსახურება ოპერატიულად, რადგან ელექტრონულ სისტემაში განთავსებულ ინფორმაციის მოძიება ყველა მათგანს შეეძლება. ყველა მოქმედება იქნება საჯარო და ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება მის საქმეზე მიიღოს დეტალური ინფორმაცია დაუყოვნებლივ.

თუმცა, ეს ყველაფერი არ არის - ახალი სისტემა სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ სიახლეს ითვალისწინებს.

„სასამართლო თავის მომხმარებელს კიდევ ძალიან ბევრ სიახლეს შესთავაზებს. პროგრამა ისეთ დონეზეა დახვეწილი, რომ მასში ნებისმიერი სერვისის ჩართვა შეიძლება და ეს პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება. პროგრამა მუდმივად იხვეწება და მომავლისთვის იგი კიდევ ბევრ ნოვაციას დანერგავს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მთავარი მოთხოვნა შესრულებულია - კიდევ უფრო სწრაფი, ხარისხიანი და გამჭირვალე სასამართლო სისტემის ასამოქმედებლად ახალი პროგრამა შექმნილია და წარმატებით მუშაობს", - ამბობს დასკვნის სახით მამუკა ახვლედიანი.

პროექტს ახორციელებს შპს „ბესთკომპანი ჯორჯია"
ელ-ფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ექსკლუზიური ინტერვიუ ნოდარ ხადურთან

დადის თუ არა რესტორნებში, რატომ არ დაასაქმებს უმუშევარ მეუღლესა და დის ქმარს და რატომ ყიდის ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო გარგარს?

არსებობის მანძილზე, საქართველოს ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია — ამას აღიარებს საერთაშორისო სავალუტო ფონდიც, ეროვნული ბანკიცა და ფინანსთა სამინისტროც. შესაბამისად, ნოდარ ხადურის უწყება მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაში არ ერევა და ლარის გაცვლით კურსზე მინისტრს სიტყვას ვერ დააცდენინებთ. რას ფიქრობს რესტორნების მენიუს ყბადაღებულ თემაზე? მუშაობენ თუ არა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ნათესავები სხვადასხვა საჯარო უწყებაში? ატერორებს თუ არა შემოსავლების სამსახური ბიზნესს? რა ხდება ფოთის პორტში? „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ყველა მწვავე კითხვას პასუხობს.

— ბატონო ნოდარ, როგორ აისახება საქართველოს ეკონომიკაზე უკრაინის კრიზისი, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ეროვნული ვალუტა საქართველოს სამ ძირითად სავაჭრო-პარტნიორ ქვეყანაში — უკრაინაში, რუსეთსა და თურქეთში გაუფასურდა?

— ეს პროცესი ლარზე ნაკლებად აისახება, რადგან სამივე ამ ქვეყანასთან საქართველოს ვაჭრობა დოლარში აქვს. იმედია, უკრაინაში ვითარება არჩევნების შემდეგ დალაგდება; ახლა ძნელია, ვიმკითხაოთ, რა და როგორ იქნება. ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტი დაკეტილია, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნის ქართულ ექსპორტს, რადგან ექსპორტი ძვირდება. ყველაფერს ვაკეთებთ, ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტი გაიხსნას. ამ მხრივ, ინფრასტრუქტურის სამინისტრო აქტიურად მუშაობს. მთავრობამ გზის გასაწმენდად, დამატებით 7 000 000 ლარი გამოყო. სამწუხაროდ, ყველა ეს გარეფაქტორი ეკონომიკაზე მოქმედებს, რადგან ქართული ეკონომიკა მცირე და ღიაა. მიუხედავად ამისა, მაინც იმედიანად ვარ, რადგან მიმდინარე წლის პირველი ოთხი თვე საკმაოდ ოპტიმისტური იყო. მეტიც, წლიური გადასახადების თითქმის 32% პირველ კვარტალში უკვე ამოვიღეთ. შესაბამისად, იმედია, წელს ვითარება, შარშანდელთან შედარებით, გაცილებით უკეთესი იქნება.

— ეკონომიკური აქტივობა, რაც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდაში გამოიხატა, რამ განაპირობა?

— ბიზნესი გამოცოცხლდა! არ მინდა ზედმეტად პათეტიკური სიტყვები, მაგრამ ქალაქში მშენებლობები გაგრძელდა, უძრავ ქონებაზე ფასის ზრდა შეინიშნება, რაც ნიშნავს, რომ ხალხს შემოსავალი გაუჩნდა. პარალელურად, ექსპორტი გაიზარდა, სოფლის მეურნეობაშიც ზრდაა, მოსახლეობაში გარკვეული შემოსავლები გაჩნდა... ეს ყველაფერი მეტყველებს, რომ ეკონომიკაში ამოსუნთქვის პროცესია. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, ბიუჯეტის შევსებაში ნაციონალური მოძრაობის ხერხებს არ ვიყენებთ, არავის ვიჭერთ, არ ვაყაჩაღებთ, ქონებას არ ვართმევთ და შემოსავლების სამსახური ძალიან ცივილურად მუშაობს. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის დამოკიდებულება ჰარმონიული იყოს, ბიზნესი შეშინებული არ არის და ბიუჯეტს ამ შიშის ხარჯზე არ ვავსებთ!

— ორიოდე თვის წინ ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ფადი ასლი სწორედ იმ წნეხზე საუბრობდა, რასაც ბიზნესი შემოსავლების სამსახურისგან განიცდის. მისი ორგანიზაციის წევრ სამ კომპანიას შემოსავლები დაუყადაღეს. მეტიც, ფადი ასლიმ ინვესტორებს მოუწოდა, საქართველოში ინვესტიციები არ ჩადონ. ამას როგორ ახსნით?

— შემოსავლების სამსახური კანონის შესაბამისად მოქმედებს. კანონი ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას ვალი აქვს და არ იხდის, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით, ავტომატურ რეჟიმში ვრცელდება საგადასახადო გირავნობა ანგარიშებსა და ქონებაზე, თუმცა, თუ კომპანიის წარმომადგენელი მოგვმართავს და დაგვისაბუთებს, რომ შესაძლებლობა აქვს, გააგრძელოს მუშაობა, ე.წ. ყადაღას, უფრო ზუსტად, საგადასახადო გირავნობას ვუხსნით ანგარიშებიდან. ბევრი მიმართულებით ვმუშაობთ, რათა ბიზნესს ჰქონდეს შესაძლებლობა, საბრუნავი სახსრები გააჩნდეს, გაყიდოს პროდუქცია, მიიღოს შემოსავლები, დაასაქმოს ადამიანები. რაც შეეხება ფადი ასლის მოწოდებას, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პროგრამის — „აწარმოე საქართველოში“ პრეზენტაცია გამართა, მეორე დღესვე გამოვიდა ბატონი ფადი და ბრძანა, რომ საქართველოში ბიზნესს დამატებითი მხარდაჭერა არ სჭირდება. მადლობა ღმერთს, მის მოწოდებებზე რეაგირება არ არის, რადგან ეკონომიკური ბლოკის მინისტრებს ბევრ ბიზნესმენთან გვაქვს კომუნიკაცია და ისინი დიდ ინტერესს იჩენენ. საქართველო ბიზნესისთვის მიმზიდველია. 27 ივნისის შემდეგ, როცა ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოვაწერთ, კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება. ეს პატარა ეკონომიკა, რომელიც გარეფაქტორების ზეგავლენას განიცდის, ერთიანი, დიდი ეკონომიკური სივრცის ნაწილი გახდება. საქართველოში წარმოებულ ნებისმიერ პროდუქციას მიეცემა შესაძლებლობა, ყოველგვარი ბარიერის გარეშე, უზარმაზარ ევროპულ ბაზარზე შევიდეს.

— როგორც ფინანსთა მინისტრს, არ მიგაჩნიათ, რომ საჯარო მოხელეებისა და თანამდებობის პირების არაადეკვატურად მაღალი ხელფასები, პრემიები და თანამდებობრივი სარგო სახელმწიფო ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვება?

— ძალიან რთული თემაა, რომელიც ბევრი მითქმა-მოთქმის საფუძველი გახდა. არ მინდა, ინფორმაციის გავრცელების წესები დავარღვიო, ვერც პირად ინფორმაციას გავცემ, მაგრამ დღევანდელ მინისტრებს, ჯერადად ნაკლები ხელფასი და პრემია აქვთ ერთად, ვიდრე მათ წინამორბედებს ჰქონდათ. ეკონომიკური ბლოკის ერთ-ერთ მინისტრს სამჯერ ნაკლები ხელფასი აქვს, ვიდრე მისი წინამორბედი იღებდა, ეკონომიკური ბლოკის მეორე მინისტრს ექვსჯერ ნაკლები ხელფასი აქვს და ეს რეალობაა. მძიმე სოციალური ფონია, მაგრამ, როგორც კი ხელისუფლებაში ბატონი ბიძინა ივანიშვილი მოვიდა, მინისტრების ხელფასები გათანაბრდა და წელიწადზე მეტია, პრემია საერთოდ არ გაიცემა. როგორც კი ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრი გახდა, მინისტრებს ხელზე ასაღები ხელფასები 1 000 ლარით შეგვიმცირდა.

მესმის, იმ ადამიანისთვის, რომელსაც ძალიან დაბალი ხელფასი და პენსია აქვს, მინისტრების ხელფასები მაღალია, მაგრამ იაფი ბიუროკრატია ქვეყანას ძვირი უჯდება. შევარდნაძის მთავრობის მინისტრებს 25-ლარიანი ხელფასი ჰქონდათ, მაგრამ საკმაოდ კარგად ცხოვრობდნენ და დღემდე კარგად გრძნობენ თავს.

კარგად ვიცი, როგორ ცხოვრობს ხალხი და არავისგან ამის სწავლება არ მჭირდება. სახლში ორი პენსიონერი მყავს, რომლებიც ამ პენსიას ელოდებიან. ვცხოვრობ გარეუბანში, გლდანში, სადაც ბევრი სოციალურად დაუცველია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველას შევუმციროთ ხელფასი. როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, 110 ლარი იყო პენსია, ოთხ თვეში 125 ლარამდე, შემდეგ ოთხ თვეში — 150 ლარამდე გავზარდეთ. ბევრი არ არის, მაგრამ უნამუსობაა, როდესაც გვეუბნებიან, რომ პენსია არ გაგვიზრდია.

სამხედრო მოსამსახურეების ხელფასები გავზარდეთ, 500-ლარიანი დახმარება შემოვიღეთ იმ ოჯახებისთვის, რომელთა წევრიც ომში დაიღუპა, არც ეს არის ბევრი, მაგრამ რაღაც ხომ გავაკეთეთ? სოციალური შემწეობა გავაორმაგეთ, ლტოლვილთა დახმარებები გავზარდეთ, საყოველთაო დაზღვევა შემოვიღეთ და ადამიანებს დღეს ექიმთან წასვლა შეუძლიათ. მეტიც, ოპერაციის გასაკეთებლად ძროხების გაყიდვა და სახლის იპოთეკით დაგირავება აღარ უწევთ. პირველად საქართველოში, მშობიარობა უფასო გახდა, ყველა ბავშვმა მიიღო უფასო სახელმძღვანელო, უნივერსიტეტებში უფასო ფაკულტეტები შემოვიღეთ, ეს ყველაფერი ერთ წელიწადში გაკეთდა, მაგრამ ვიცი, საკმარისი არ არის. 9 წლის კი არა, 19 წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებიათ. გვარებს ჩამოგითვლით ნაციონალურ მოძრაობაში, რომლებიც 1991-დან 2012 წლამდე ხელისუფლებაში იყვნენ და დღეს იმაზე საუბრობენ, რომ ვიღაცამ დაპირება არ შეასრულა. პატარა სოფელი და სახლი მაქვს საოკუპაციო ხაზთან ახლოს, ბებიაჩემისა და პაპაჩემის საფლავებიდან 50 მეტრში მავთულხლართებია და კარგად ვიცი, ამ ხალხს რა სჭირდება. მათ გზა, წყალი, ელექტროენერგია უნდათ და ამ ყველაფერს ვაკეთებთ. წინა ხელისუფლებას საერთოდ არ ახსოვდა ეს სოფლები. დღეს გამოდიან და მენტორული ტონით გვასწავლიან ჭკუას ისინი, რომელთა ხელისუფლებაში ყოფნის დროს, კინაღამ ეკონომიკა დაინგრა, მაგრამ ქართული სოფელი ნამდვილად განადგურდა.

— ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ცენტრმა სასამართლოში თქვენ წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, რადგან კონკრეტული თანამდებობის პირების ხელფასების, პრემიების, მივლინებისა და „როუმინგული“ მომსახურების შესახებ ინფორმაცია მოითხოვა, თქვენ კი მხოლოდ ჯამური ინფორმაცია მიაწოდეთ. საჯარო ინფორმაცია რატომ დამალეთ?

— ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებული არ არის, მაგრამ თითოეულ საჯარო მოხელეს ვალდებულება აქვს, საჯარო დეკლარირება გააკეთოს. ყველა საჯარო მოხელე, მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც, დეკლარირებას კანონით დადგენილი წესით ვახორციელებთ. დაელოდონ დეკლარაციებს და იქ ნახავენ ყველაფერს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთიანი მონაცემები მივეცით. 2013 წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „როუმინგში“ 1 400 ლარი დახარჯა. არადა, წინა ხელისუფლების პირობებში, 1 400 ლარს ერთი მინისტრი, ან ერთი თანამდებობის პირის მეუღლე ხარჯავდა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს „როუმინგში“. არც ერთხელ ბიზნესკლასით არ მიფრენია იმის მიუხედავად, რომ კანონით გვეკუთვნის. კარგად ვხედავ, ამ ქვეყანაში რა შეიძლება და რა არა.

ვიცი, რესტორნების ყბადაღებულ თემაზეც მკითხავთ და ბარემ თავად გეტყვით, რომ ეს ყველაფერი ამაზრზენია. ამ ინფორმაციას ხომ იმ ქვეყნების საელჩოებშიც კითხულობენ, რომელთა მინისტრებიც საქართველოში ჩამოდიან? ახლა მივდივარ ჰაგაში.

დასასრული მე-7 გვერდზე

ვერსიანიუსი

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ სამ სოფელს დავალიანებას ჩამოაწერს

კომპანიის ინფორმაციით, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ დუშეთის რაიონის სამი სოფლის — აბანოსხევის, წითელსოფლისა და ჭოპორტის მცხოვრებლებს მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის გადაუხდელობით დაგროვილ დავალიანებებს ჩამოაწერს. ასე ეხმაურება „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მცხეთა-მთიანეთის რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრას.

მიუხედავად იმისა, რომ აბანოსხევი, წითელსოფელი და ჭოპორტი არ შედის თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მათ წყალმომარაგებას, წყალსადენის სისტემების ტექნიკური მოწყობიდან გამომდინარე, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ახორციელებს. სამივე სოფლის მოსახლეობას წყალმომარაგების მომსახურებაზე დავალიანება 2011 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის მაისის ჩათვლით დაუგროვდა. ამ პერიოდში აბანოსხევის 405 მოსახლის მიერ დაგროვილი წყლის დავალიანება დაახლოებით 15 000 ლარია, წითელსოფლის 305 მოსახლეს კომპანიის 16 700 ლარი მართებს, ჭოპორტის 480 მაცხოვრებელს კი — 45 100 ლარი.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ, ითვალისწინებს შექმნილ მდგომარეობას და იმ ფაქტსაც, რომ აღნიშნული სოფლების მაცხოვრებლებს, ეკონომიკური მდგომარეობის გამო, უძნელდებათ დაგროვილი დავალიანების დაფარვა და პარალელურად, მიმდინარე გადასახადის გადახდა. კომპანია მათ დავალიანებას ჩამოაწერს, პირობით, თუ ისინი მიმდინარე წლის ივნისიდან რეგულარულად გადაიხდიან ყოველთვიურად დარიცხულ მიმდინარე გადასახადს.

bpn.ge

„საქართველოს ბანკის“ მეორე საგრანტო კონკურსი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდასაჭერად

„საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდაჭერასა და მათზე ზრუნვას განაგრძობს. ფონდმა ამ მიზნით გამოყოფილი 1 მილიონი ლარის მოცულობის დაფინანსების ფარგლებში, მეორე საგრანტო კონკურსი გამოაცხადა.

კონკურსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ საინიციატივო ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაწესებულებებს, რომლებიც შშმ ბავშვთა საკითხებზე მუშაობენ. მეორე საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ასევე თემებს, ამხანაგობებსა და სამეზობლოებს.

პროექტები მიმართული უნდა იყოს შშმ ბავშვებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე, საგანმანათლებლო აქტივობაზე და ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობაზე.

კონკურსში გამარჯვებულ 10-მდე პროექტს, შესაბამისი მიმართულების ექსპერტებით დაკომპლექტებული დამოუკიდებელი ჟიური 2014 წლის 1 ივლისამდე გამოავლენს. თითოეული გრანტის მოცულობა 25,000 ლარამდე განისაზღვრება. გამარჯვებული პროექტებს მონიტორინგს „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ გაუწევს.

საქართველოში ათი ათასზე მეტი ბავშვია, რომლებიც მხოლოდ სახლში გრძნობენ თავს კარგად. „საქართველოს ბანკის“ „სიცოცხლის ხემ“ კი დაამტკიცა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, არსებობს მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების გარემო. ამ ფონზე, „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდის“ მიზანია, შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც შშმ ბავშვებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში დაეხმარება.

პირველი საგრანტო კონკურსი „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდმა“ 2014 წლის თებერვალში გამოაცხადა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდაჭერის მიზნით 13 პროექტი დააფინანსა, საერთო მოცულობით 300 000 ლარი. ყველა პროექტი უკვე დაწყებულია და რამდენიმე მათგანი დასრულების ფაზაში შედის. უკვე მოეწყო მძიმე აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალური სასწავლო კლასი თბილისის 198-ე და 200-ე საჯარო სკოლებში, ასევე დამონტაჟდა ეტლით მოსარგებლე შშმ ბავშვთათვის ადაპტირებული პირველი საქანელა თბილისში, ზოოპარკის ტერიტორიაზე. ამიერკავკასიის მასშტაბით ეს პირველი საქანელაა ეტლით მოსარგებლე ბავშვებისათვის. პროექტი საგრანტო კონკურსში „სარეაბილიტაციო საშუალებათა განვითარების ცენტრმა“ წარადგინა. ეტლით მოსარგებლე ბავშვებისთვის ადაპტირებული საქანელები სულ საქართველოს შვიდ გასართობ პარკში დაიდგმება. ოთხი მათგანი თბილისში იქნება, სამი — ურეკში, ბათუმსა და ქუთაისში. საქანელებით გართობა ნებისმიერი მსურველისთვის უფასო იქნება.

გარდა ამისა, დაფინანსდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორებიცაა დედაენისა და მათემატიკის განმავითარებელი კრებულის გამოცემა, სენსორული სათამაშოებისა და მათი დამზადების სახელმძღვანელოს შექმნა, ჟესტების ენის ონლაინ-ლექსიკონი. სოფელ გრემში შშმ პირთა თემისთვის ჭას რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შშმ ბავშვების მონაწილეობით თეატრალური წარმოდგენა „ჰელადოს“ დაიდგმება. ანაკლიის თემში მცხოვრებლებმა კი „სიცოცხლის ხის“ დახმარებით, შშმ ბავშვებისთვის ანაკლიის სკოლის ადაპტაცია მოახდინეს, ბავშვებს ეტლები შეუძინეს და ახლა ანაკლიაში ყველა ბავშვი სკოლაში დადის და თავს გარიყულად აღარ გრძნობს. საგრანტო კონკურსის ყველა გამარჯვებულ პროექტს „სიცოცხლის ხის“ სტატუსი ენიჭება, რაც ზრუნვისა და კეთილი საქმის კეთების სიმბოლოს წარმოადგენს.

მეორე საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი პროექტებიც მიმართული უნდა იყოს შშმ ბავშვებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე, საგანმანათლებლო აქტივობაზე და ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობაზე. გამარჯვებული პროექტების განხორციელებას მონიტორინგს გაუწევს „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“. „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდის“ დირექტორმა **თორნიკე გურულმა** განაცხადა: **„მიხარია, რომ უკვე მეორე საგრანტო კონკურსი გამოვაცხადეთ, პროექტების წარმოდგენა შეუძლია ყველას, სამეზობლოს, სოფელს, თემს, ვისაც აქვს იდეა და სურვილი პოზიტიურად შეცვალოს გარემო შშმ-ს ბავშვებისთვის. არ ვაფინანსებთ სამედიცინო სახის პროექტებს, კონფერენციებს, საზღვარგარეთ მოგზაურობას. ჩვენ გვჭირდება მდგრადი პროექტები, რომლებიც შშმ ბავშვებს ცხოვრებას გაუხალისებს“.** საკონკურსო განაცხადები მიიღება 29 მაისიდან 15 ივნისის 18:00 სთ-მდე, რისთვისაც კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საჭირო დოკუმენტაცია უნდა გაგზავნონ ელფოსტაზე: grants@bog.ge. მეორე საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი და სხვა დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერზე: www.tree.ge. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ასევე შეუძლიათ დაუკავშირდნენ „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდს“ ნომერზე — 2 444 493.

ნინო ლურსმანაშვილი

ექსკლუზიური ინტერვიუ ნოდარ ხადურთან

მე-6 გვერდიდან

ჰოლანდიის ფინანსთა მინისტრს უნდა შევხვდე, რომელიც შარშან, ზუსტად ამ დროს თბილისში იყო ჩამოსული, კოლეგებთან ერთად, აქ 15 ქვეყნის ფინანსთა მინისტრი, ცენტრალური ბანკების მმართველები და მათი თანმხლები პირები ჩამოვიდნენ. ეს ხალხი კახეთში ექსკურსიაზე წავიყვანეთ და შემდეგ ვასადილეთ, აბა, რა უნდა გაგვეკეთებინა? ექსკურსიის ხარჯი გასწიაო და 150-ლარიანი ამონაწერი ამიფრიალეს.

შესაძლოა, მენიუზე ბევრი ვიკამათოთ, როგორი უნდა იყოს. ჯერ ბრალი დაგვდეს, ბევრიაო, მერე გვისაყვედურეს, ცოტაოო. ისიც კი თქვეს, სალათი „ოლივიე“ რატომ შეიტანეთ მენიუში, რუსულიაო. შემიძლია გაჩვენოთ ჩემი ვიზიტის პროგრამა, სამი დღის განმავლობაში სამი მიღებაა პრემიერ-მინისტრის, ფინანსთა მინისტრისა და ცენტრალური ბანკის მმართველის სახელით. ეს არის პროტოკოლი, სხვანაირად არ შეიძლება. თანაც ის დროც მახსოვს, როდესაც სტუმრებს, უკაცრავად, მაგრამ შეწერილი ფულით მასპინძლობდნენ. ფინანსთა მინისტრს თავისი მეგობარი რესტორანში არ წაუყვანია.

ვერ გეტყვით, რომ არ ვსადილობ, მაგრამ, როდესაც მეგობრებთან ერთად ყოფნა მინდა, სახლში ვშლით სუფრას, რადგან რესტორნებში საერთოდ არ დავდივარ. არც „მასაჟისტკა“ ჩამომიყვანია სახელმწიფოს ხარჯით, არც მაიმუნის ტვინის დელიკატესები მიმიტანია სუფრაზე და არც კლუბ „დივაში“ წამიყვანია არც ერთი დელეგაცია. კახეთში წავიყვანეთ ექსკურსიაზე და ტრადიციული, ქართული კერძებით გავუმასპინძლდით, მათი განწყობაც ვიცი, მოსწონთ კარგი, გემრიელი ქართული სამზარეულო და ღვინო.

ჩვენ თუ ასეთ ღონისძიებებს არ ჩავატარებთ და ქვეყნის ცნობადობას არ გავზრდით, ინვესტორებს როგორ მივიღებთ? დელეგაციას კონცერტი გაუმართეს და ანსამბლ „რუსთავს“ ფული გადაუხადესო, აბა, ვის გადავუხადოთ? სწორედ „რუსთავს“, „სუხიშვილებსა“ და „ერისიონს“ უნდა გადავუხადოთ, რომ ქართული კულტურა წარმოაჩინონ.

— ბატონო ნოდარ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლობლები, ნათესავები მართლა მუშაობენ სხვადასხვა სამინისტროში არსებულ სსიპ-ებსა და შპს-ებში?

— როდესაც ექსპრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ყოფილი მოადგილე, რომლის მეუღლე თბილისის ერთ-ერთი რაიონის გამგებელი იყო, აცხადებს, რომ ახლა ადგილი აქვს ნეპოტიზმს, უკაცრავად, მაგრამ მისი მეუღლე გამგებლად რატომ მუშაობდა? თბილისის მერის მეუღლე პრეზიდენტის მრჩეველი რატომ იყო? წინა ხელისუფლების პირობებში, მამა-შვილებისა და ძმების ამბები არ გაგიგიათ? არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა, სადღაც ვიღაცის ნათესავი მუშაობს. მაგალითად, ხაშურში, გამგებლის მოადგილეზე ამბობენ, რომ ჩემი დეიდაშვილია, არადა, დედაჩემს და არ ჰყავს, წარმოშობით ხაშურელია და ნახევარი ხაშური ან ჩემი ბიძაშვილია, ან დეიდაშვილი, აბა, რა ვქნათ? არ დამინიშნავს ის კაცი, არ ჩავრეულვარ, იმ ადამიანმა იბრძოლა, იშრომა, იწვალა და ამის გამო დანიშნეს. მოგვიანებით მოვიკითხე და მართლა ნათესავი აღმოჩნდა, მაგრამ იმის გამო, რომ ნათესავია, არც მოადგილედ დამინიშნავს და არც რომელიმე სსიპ-ის უფროსად. ფინანსთა სამინისტროში 4 000 კაცი მუშაობს, ამ 4 000 კაცში ვიღაც ჩემი ნათესავი რომ აღმოჩნდეს, რა ვქნა, ფინანსთა მინისტრად რომ დავინიშნე, სამსახურიდან უნდა გამეგდო?

ჩემი მეუღლე და დის ქმარი უმუშევრები არიან, ვერ ვუკეთებ სამსახურს, რადგან ამას მთელი ამბავი მოჰყვება. მირჩევნია, ჩემი მეუღლე სახლში იჯდეს და ბავშვებს მიხედოს, ვიდრე კიდევ ერთი, არაფრისმომცემი თემის საფუძველი გახდეს, თორემ არც განათლება აკლია ჩემს მეუღლეს და არც პროფესიონალიზმი.

— სახელმწიფოს ბალანსზე არსებული მეურნეობები ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გადაეცა და ახლა ამ მეურნეობაში მოყვანილ გარგარს მართლა ყიდით?

— ფინანსთა სამინისტრო კი არა, გარგარს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ყიდის, რომელიც იმიტომ შეიქმნა, სახელმწიფო ქონება განკარგოს, მას სხვა ფუნქცია არ აქვს. ეს ქონება, ანუ კერძო მეურნეობები ბატონმა ბიძინამ სახელმწიფოს აჩუქა. ამ მეურნეობებიდან შემოსული თანხა, მთლიანად ბიუჯეტისკენ უნდა წარიმართოს. მექანიზმი კი ის არის, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ მიქცეული ქონება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა — მომსახურების სააგენტომ უნდა გაყიდოს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები დახლთან დგანან და გარგარს ყიდიან. არა, ისინი საბითუმო ორგანიზებას უწევენ და ამ გარგარს ჩვეულებრივი მაღაზიები ან ინდმეწარმეები ყიდიან.

— ფოთის ნავსადგურის მმართველი, დანიური „აი პი ემ ტერმინალსი“ 44 სატერმინალო, ლოგისტიკურ კომპანიას აიძულებს, ტვირთი მხოლოდ მის კუთვნილ ტერმინალში განბაჟდეს, რასაც ამ კომპანიების პროტესტი მოჰყვა. თურმე, მხოლოდ თქვენი ერთი ბრძანებაა საჭირო, რომ 2010 წელს, შემოსავლების სამსახურის მაშინდელი უფროსის, გოგა ცხაკაიას ზეპირი განკარგულება გაუქმდეს...

— თუ ზეპირი განკარგულებაა, მის გაუქმებას ბრძანება არ სჭირდება. ამ პრობლემაზე წელიწადნახევარია ვმუშაობ, მაგრამ ეს თემა ფინანსთა სამინისტროს არ ეხება, საუბარია ფოთის პორტის პრივატიზებაზე და ეს ეკონომიკის სამინისტროს კომპეტენციაა. ვიცი, გიორგი კვირიკაშვილის უწყება, კომპეტენციის ფარგლებში, ამ თემაზე მუშაობს და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობაც მიღებულია. თუმცა გოგა ცხაკაიას, ან ნებისმიერი სხვა პირის ზეპირი ბრძანება, 2012 წლის 25 ოქტომბერს გაუქმდა! ამის შემდეგ, არცერთი თანამდებობის ზეპირი განკარგულება არ მუშაობს. მხოლოდ კანონი, წესი, ბრძანება და ხელშეკრულება მოქმედებს.

ძალიან მინდა, ყველა გადამზიდავი თანაბარ პირობებში იყოს, მაგრამ პრივატიზების პირობას, რომლითაც თავის დროზე, ფოთის პორტი გაიყიდა, ფინანსთა მინისტრი ვერც ბრძანებით, ვერც ზეპირად და ვერც წერილობით შეცვლის. გამორიცხულია, რომელიმე გადამზიდავს ვაწვალებდეთ, სხვებს კი განსაკუთრებულ პირობებს ვუქმნიდეთ. მაქსიმალურად ვცდილობთ, ის გაფუჭებული საქმე გამოვასწოროთ, რაც ჩავიბარეთ.

ჩვენმა ხელისუფლებამ ჩაიბარა საბაჟო, სადაც ტვირთებს წვავდნენ, მაღალი ძაბვის დენს უშვებდნენ, რომ აპარატურა გაენადგურებინათ, ჩავიბარეთ საბაჟო, სადაც ანტენებს აპატიმრებდნენ! ჩავიბარეთ ქვეყანა, სადაც ბიზნესმენების ცოლებს იჭერდნენ და მძევლად აჰყავდათ, რათა გადასახადები გადაეხადათ, სადაც ადამიანებს აიძულებდნენ, სხვის მიწაზე უნებართვოდ, უპროექტოდ აეშენებინათ. თქვენ იცით, ანაკლიის საფეხმავლო ხიდის მშენებლობის ნებართვა მხოლოდ მთავრობის წინა სხდომაზე გავეცით? აი, ის ხიდი, რომელიც ორჯერ წყალმა წაიღო, სამჯერ ააშენეს და 17-ჯერ გახსნეს! აი, ასეთი ქვეყანა ჩავიბარეთ და ახლა ნელ-ნელა ვალაგებთ, რომ ჯერ ნებართვა გავცეთ, შემდეგ პროექტი გაკეთდეს და ბოლოს მშენებლობა დაიწყოს.

„ხალხმა სამართლიანობის აღდგენა ქუჩაში არ უნდა დაიწყოს“

რატომ შესთავაზა მაჟორიტარად კენჭისყრა კახა კალაძემ და რას ჰპირდება გლდანის ამომრჩეველს მურთაზ შელია

ᲔᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული მცველი იყო და საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე არაერთი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა. დღეს გლდანის კენტ რაიონებში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატია და საკრებულოში დეპუტატობისთვის ემზადება. რატომ გადაწყვიტა ფეხბურთიდან პოლიტიკაში გადანაცვლება, აშანტაჟებდნენ თუ არა ნაციონალები და რას პირდება მომავალში საკუთარ ამომრჩეველს, „ვერსიას“ ფეხბურთელი, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი მᲣᲠᲗᲐᲖ ᲨᲔᲚᲘᲐ ესაუბრა.

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ეტაპია. მართალია, პირველი ოქტომბრის შემდეგ ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ მერიასა და გამგეობებში ისევ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები არიან. შესაბამისად, აღნიშნული უწყებები ხალხს არ ემსახურება, პირიქით, საბოტაჟის რეჟიმში მუშაობენ და ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, 15 ივნისს მოსახლეობამ საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს. ისე, ისიც ფაქტია, რომ „ქართული ოცნების“ პიარი ზედმეტად არ აქტიურობს და ამ დროს საქმის კეთებას უთმობს. წელიწადნახევრის განმავლობაში უამრავი სასიკეთო საქმე გაკეთდა, კერძოდ, მოსწავლეებს უფასო წიგნები დაურიგდათ, საყოველთაო დაზღვევა ამოქმედდა, უმაღლეს სასწავლებლებშიც ფაკულტეტების ნაწილი უფასო გახდა. არადა, ნაციონალები ერთ გაკეთებულ საქმეს ათად წარმოაჩენდნენ ხოლმე — ტელევიზორში სულ სხვა საქართველოს ვუყურებდით, რეალურად კი, რადიკალურად განსხვავებულ სახელმწიფოში ვცხოვრობდით.

— ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ხალხთან ნაკლები კონტაქტი აქვს?

— ამ შემთხვევაში, ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემაა. დალაგებულ ქვეყანაში მსგავსი დამოკიდებულება მართლაც მისასალმებელია, თუმცა საქართველოში ეს ეტაპი ჯერ არ დამდგარა. დარწმუნებული ვარ, საზოგადოებას ისიც კარგად ესმის, რომ დანგრეული ქვეყანა ერთ წელიწადში ვერ აშენდება, თუმცა მაქვს იმედი, ეტაპობრივად ყველა პრობლემას ერთად დავძლევთ.

— ისე, პოლიტიკაში მოსვლა რატომ გადაწყვიტეთ?

— საკრებულოში მაჟორიტარი დეპუტატის სტატუსს პოლიტიკად არ მივიჩნევ. ვფიქრობ, ეს უფრო მეურნისა და მენეჯერის პოზიციაა — მოსახლეობის პრობლემები საკრებულოსა და მერიამდე უნდა მივიტანო და მათ გადაჭრაზე ვიზრუნო.

— თუმცა, სავარაუდოდ, სხდომებზე ნაციონალურ მოძრაობასთან პოლიტიკური დებატებიც მოგიწევთ.

— ისიც კი არ ვიცი, საერთოდ შეძლებს თუ არა ნაციონალური მოძრაობა საკრებულოში შესვლას, ვფიქრობ, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანმა ნაციონალურ მოძრაობას მხარი არ უნდა დაუჭიროს. მათი მმართველობის ცხრა წელი ქვეყნისთვის ჯოჯოხეთი იყო — შანტაჟი, უკანონო დაჭერები, მოსმენები და ა.შ. საზოგადოებას ბინძური ხრიკებით ატყუებდნენ. დღეს სულ სხვა ვითარებაში ვცხოვრობთ. წინასაარჩევნო კამპანია აბსოლუტურად თავისუფალ გარემოში მიმდინარეობს — ხალხს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვს.

— წლების განმავლობაში საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენი იყავით. ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში ზეწოლა თქვენზეც ხორციელდებოდა?

— ამის განხილვას არ დავიწყებ, თუმცა ჩემ პოლიტიკურ პოზიციას 2005 წლიდან ვაფიქსირებ. ნაციონალური მოძრაობის წევრები ქვეყნის აშენებას ძალის გამოყენებით ცდილობდნენ, თუმცა საბოლოოდ, ყველაფერი დაანგრიეს. პროკურატურაში მათ წინააღმდეგ უამრავი საქმეა შესული. არ გვინდა, მათ დავემსგავსოთ, ამიტომ თითოეულ საქმეს მაქსიმალურად სამართლიანად იძიებენ. საზოგადოებას კარგად ახსოვს, ვარდების რევოლუციის შემდეგ ნაციონალური მოძრაობის წევრები ყოფილ მაღალჩინოსნებს ხან აეროპორტში აკავებდნენ, ხანაც საძინებელში უცვივდებოდნენ და ხელბორკილს ოჯახის წევრების თანდასწრებით ადებდნენ. სამწუხაროდ, საზოგადოება ამას მაშინ არ აპროტესტებდა, რის გამოც, ნაციონალური მოძრაობის დიქტატორული რეჟიმი ჩამოყალიბდა. ვინც დანაშაული ჩაიდინა, უნდა დაისაჯოს, მაგრამ ყველაფრის გარკვევას დრო სჭირდება.

— სანამ პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე მივა, კიდევ ერთი ნაციონალი ლიტერატურულ კაფეში ცემეს.

— დიახ, ჯერ კოდუა იყო, შემდეგ ჭიაბერაშვილი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ხალხმა სამართლიანობის აღდგენა ქუჩაში არ უნდა დაიწყოს, ეს საკმაოდ მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანს. ახლა პროკურატურაშიც ორხელისუფლებიანობაა, თუმცა ეს სისტემაც მალე გამოსწორდება. საბოტაჟის ნიშნებს ვხედავ მაშინაც, როცა თანამდებობის პირები კოლოსალურ პრემიებს იწერენ. მერწმუნეთ, ეს პროცესიც მალე დალაგდება. პირველ რიგში, გარემო უნდა დალაგდეს. თუნდაც ეკონომიკური მიმართულებით. იმისთვის, რომ საქართველოში ფულის დაბანდებით ინვესტორი დაინტერესდეს, აქ შესაბამისი პირობები უნდა შეიქმნას. პირველ ოქტომბრამდე კი, თუ „ხელისუფლების ბიზნესმენი“ არ იყავი, საქმეს ვერ გააკეთებდი. ახლა მმართველი გუნდი ყველაფერს აკეთებს, ბიზნესს თავისუფალი გარემო შეუქმნას, ქვეყანაში ინვესტორი შემოიყვანოს და შესაბამისად, ხალხიც დასაქმდეს.

— ისე, საპარლამენტო არჩევნებამდე ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ამომრჩეველთან შეხვედრებს თქვენ რესტორნებში ატარებდნენ.

— ამაში უჩვეულო არაფერია. მაშინ შეხვედრები თბილისის თითქმის ყველა რესტორანში იმართებოდა, თუმცა, როგორც გითხარით, ჩემი პოლიტიკური პოზიციის შესახებ მათ კარგად იცოდნენ. სამეგობრო და საახლობლო წრეში ამაზე მუდმივად ვსაუბრობდი.

— თუმცა დაკავებული გიორგი დემეტრაძის მიმართ სოლიდარობა საჯაროდ არ გამოგითქვამთ?!

— სოლიდარობა ღიად დავაფიქსირე, ხელმოწერებიც შევაგროვეთ, თუმცა მაშინ ყურადღება არავინ მოგვაქცია. გიორგი დემეტრაძის კრიმინალად გამოცხადება მხოლოდ გათვლილი პროვოკაცია იყო, რომ სხვებიც გაეფრთხილებინათ. პირველ რიგში, მისი დაკავება კახა კალაძეს უკავშირდებოდა, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ დემეტრაძე და კალაძე წლებია უახლოესი მეგობრები არიან.

— „ქართული ოცნების“ სიაში კახა კალაძის რეკომენდაციით მოხვდით?

— დასამალი არაფერია, კანდიდატად კენჭისყრა მართლაც კახიმ შემომთავაზა. დიდი ხანია ვმეგობრობთ. ფეხბურთის გარდა, მენეჯმენტშიც საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს. როცა საქმეს ხელს ვკიდებ, ბოლომდე მიმყავს. ეს კახიმაც კარგად იცის და ჩემზე აქცენტიც, სავარაუდოდ, ამიტომ გააკეთა.

— თქვენ ამომრჩეველს რას პირდებით?

— გლდანის რაიონში უამრავი პრობლემა დაგროვდა. მოსახლეობას ნაკვეთები დასარეგისტირებელი აქვს, ასევე სახურავების უმრავლესობა შესაკეთებელია. მოსახლეობას გაზის პრობლემაც აქვს. მართლა მინდა, ოთხი წლის შემდეგ ჩემ შვილებს ამაყად ვუთხრა — ეს ყველაფერი მამამ გააკეთა-მეთქი. ახლა ჩემი თავის კონკურენტი მხოლოდ თავადვე ვარ — მთავარია, შეცდომა არ დავუშვა და ხალხისთვის მიცემული დაპირებები მაქსიმალურად შევასრულო.

ᲐᲡᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲐᲮᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲡᲛᲐᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲕᲘᲗᲘᲑᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲨᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐ

მაღაზიათა ქსელი „სმაილი“ და „ვითიბი“ ბანკი 29 მაისიდან საზოგადოებას განვადების ახალ აქციას სთავაზობს. მომხმარებლებს შესაძლებლობა ეძლევათ, მათთვის სასურველი ნებისმიერი საოჯახო ტექნიკა შეიძინონ — სულ რაღაც ერთი წუთის განმავლობაში „ვითიბი“ ბანკისგან განსხვავებული და საგრძნობლად გამარტივებული პირობებით უპროცენტო განვადება მიიღონ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ აქციის ფარგლებში განვადება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ხდება. კერძოდ, პირობების თანახმად, შევსებული 10 განაცხადიდან ცხრა დამტკიცდება და განვადებით სარგებლობა უმრავლეს შემთხვევაში შესაძლებელი გახდება. ამისთვის მხოლოდ 150-ლარიანი შემოსავალია საკმარისი. აქციის ფარგლებში მომხმარებელს არ მოუწევს გაცემის საკომისიოს გადახდა და თანამონაწილეობაც არ მოითხოვება.

კომპანია „სმაილის“ მმართველი პარტნიორის **ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ** განცხადებით, ახალი პროექტის ფარგლებში, კომპანია „სმაილი“ 100 მილიონი ლარის ღირებულების ტექნიკას ყველაზე ხელსაყრელი პირობებით გასცემს: **„ყველა მომხმარებელმა, რომელსაც აინტერესებს წამყვანი ბრენდების — SAMSUNG, PANASONIC, HOTPOINT/ARISTON, INDESIT-ის ტექნიკის შეძენა და არ სურს დროის დაკარგვა ან ზედმეტი თანხის გადახდა, თბილისში, რუსთავსა და ბათუმში ჭავჭავაძის №31-ში „სმაილის“ ფილიალებს უნდა მიმართოს და მარტივად, ერთ წუთში უპროცენტო განვადებას მიიღებს. ასე რომ, ნებისმიერი შემოსავლის მქონე ადამიანს უკვე შესაძლებლობა აქვს, სასურველი ნივთი დაფიქრების გარეშე შეიძინოს, თუნდაც იმ მომენტისთვის ტექნიკის შესაძენად არანაირი თანხა გათვალისწინებული არ ჰქონდეს“.**

თავის მხრივ, „ვითიბი“ ბანკიც მომხმარებელს უნიკალურ შესაძლებლობას სთავაზობს.

„ვითიბი“ ბანკის საცალო ბიზნესის განვითარების სამმართველოს უფროსი **ᲒᲘᲕᲘ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ: „ვითიბი“ მომხრებელს განვადების უნიკალურ შესაძლებლობას სთავაზობს, რომელიც პირობების მაქსიმალური გამარტივების შედეგად, გაცილებით მეტი ადამიანისთვის გახდა ხელმისაწვდომი. აქციის ფარგლებში მომხარებელს შეეძლება სასურველი ნივთი, ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გარეშე შეიძინოს, რადგან არც გაცემის საკომისიო და არც თანამონაწილეობა მოეთხოვება“.**

რუსუდან შელია

ელენე ხოშტარია: „ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერის გადაგორებით საფრთხე არ მთავრდება, პირიქით, ახალი პროცესი იწყება ნატო-ს სამიტის წინ!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ოკუპირებულ აფხაზეთში დაპირისპირება გრძელდება. ოპოზიცია, რაულ ხაჯიმბას მეთაურობით, ე.წ. პრეზიდენტ ანქვაბთან მოლაპარაკების პირობებს ასახელებს — დიალოგი მხოლოდ იმ შემთხვევაში განახლდება, თუ ანქვაბი პოსტს დატოვებსო. თუმცა მანამდე არაერთი სხვა მოთხოვნაც გაისმა: დე ფაქტო მთავრობისა და გენერალური პროკურორის გადაყენება და აფხაზეთის ორის რაიონის — გალისა და ტყვარჩელის გამგებლების მოხსნა.

პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, მოვლენების ამ ხაზით განვითარება სულაც არ აწყობს რუსეთს, მამუკა არეშიძის აზრით კი, გრძელვადიან პერსპექტივაში, ჩრდილოელი მეზობელი ამ ბერკეტს საქართველოს იმიჯის შესალახად მომავალშიც შესანიშნავად გამოიყენებს: **„ქრონოლოგიას რომ მივყვეთ, პუტინის მრჩეველი აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ საკითხებში, სურკოვი, უკვე აფხაზეთში იყო, როცა კონფლიქტი გამწვავდა. მისი იქ ყოფნის ძირითადი მიზეზი იმ ტრანშზე მოლაპარაკება გახლდათ, რომელსაც რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალს გადაურიცხავს. შესაბამისად, დღეს „ახალი მაიდნის“ მოწყობა რუსეთისთვის საკმაოდ წამგებიანია. კრემლი ჯერ დონეცკის პრობლემებში ვერ გარკვეულა ბოლომდე და ახლა სოხუმის დამატება ნამდვილად აღარ სურს. დღეს რუსეთი იმაზეა ორიენტირებული, ე.წ. პრეზიდენტი ანქვაბი დაიცვას. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ანქვაბს ძალოვანი მინისტრები უჭერენ მხარს. აფხაზეთში კი თავდაცვის მინისტრი მერაბ ქიშმარია ერთად აღებულ ყველა ოპოზიციონერზე ძლიერი ფიგურაა. ამ კონფლიქტში ასე, სწორხაზოვნად, მარტო რუსეთის ინტერესები არ ჩანს. მომხდარი, ნაწილობრივ, ანქვაბის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკითაა განპირობებული და ამ ვითარებას, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად გამოიყენებს ოპოზიცია. უხეშად თუ ვიტყვით, ანქვაბი პროაფხაზია, ხაჯიმბა კი პრორუსი, მაგრამ აფხაზეთის ხელისუფლებაში ხალხი არც პრორუსს გააჩერებს და არც პროქართველს, რადგან მათი ნომერპირველი ამოცანა საერთაშორისო სივრცეში დამოუკიდებელ ქვეყნად დამკვიდრებაა, ოღონდ რუსეთის ფულით. შესაბამისად, ამ კლანებს შორის დაპირისპირების საფუძველიც სწორედ ესაა — ძალაუფლებისკენ ლტოლვა და ამ ვითარებას ვინ როგორ გამოიყენებს, მათ შორის რუსეთი, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის წინ, ეს სხვა თემაა. ეს ის ბერკეტია, რითაც რუსეთი საქართველოზე ზეწოლას შეეცდება ევროკავშირთან ასოცირებაზე ხელმოწერის, ან უელსის სამიტის კონტექსტში. ასე რომ, არა მგონია, ხაჯიმბას რუსეთისგან პირდაპირი დირექტივა ჰქონდეს, მიუხედავად კრემლის პოლიტიკურ წრეებში მხარდაჭერისა. საპრეზიდენტო არჩევნებზე პუტინი მხარს მას ღიად უჭერდა, მაგრამ მაინც წაგო ბაღაფშთან. საკითხი ასე არ დგას — რუსეთს საქართველოზე ზეწოლა უნდოდა და ამიტომ მოაწყო ეს ამბები სოხუმშიო. ამ ვითარების გამოყენება მომავალში უფრო უკეთ შეიძლება. თავად აფხაზეთს კი ჩვენი ხელმოწერა ფეხებზე კიდია!“**

კონკრეტულად 27 ივნისის ხელმოწერის წინ სოხუმში ვითარების გამწვავებას არც **ელენე ხოშტარია** ელის. „საქართველოს რეფორმების ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში მინისტრის ექსმოადგილე მიიჩნევს, რომ რუსეთი რეგიონში კონფლიქტურ კერებს „აგროვებს“, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში აამოქმედებს. ეს საჭიროება კი არა 27 ივნისს, არამედ ნატო-ს უელსის სამიტის წინ უფრო დადგება: **„ზოგადად, ინფორმაციის წყარო ან შეზღუდულია, ან ტენდენციური, ამიტომ კატეგორიული დასკვნების გაკეთება ცოტა ძნელია. სოხუმში მიმდინარე პროცესი ხელოვნურად მართულიცაა და ბუნებრივად განვითარებულიც, ამ შემთხვევაში, ერთი მეორეს არ გამორიცხავს. სამაგიეროდ, პრაქტიკულად გამორიცხულია ის, რომ რუსეთმა ეს დაძაბულობა სათავისოდ არ გამოიყენოს. ჩემი აზრით, რუსეთი რეგიონში მსგავს კერებს, ასე ვთქვათ, აგროვებს. ეს ეხება უკრაინას, მოლდოვას, საქართველოს და ამ კერებს საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს. ასოცირების ხელშეკრულება ისეთ გარდამტეხ მომენტად არ მიმაჩნია, რომ რუსეთმა ეს მოვლენები ამ კონკრეტული თარიღისთვის მოამზადოს. ეს რაღაც პროცესის დასაწყისი უფროა, აი, ნატოს სამიტი კი ათვლის ბევრად მნიშვნელოვანი წერტილია. უკრაინისგან განსხვავებით, ჩვენთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა კრიტიკულად არაფერს ცვლის, უკრაინაში კი ქვეყნის განვითარების მთელს ვექტორს ცვლიდა. შესაბამისად, ვფიქრობ, რუსეთისთვის მთავარი სამიზნე 27 ივნისი ვერ იქნება, ეს მხოლოდ გამწვავების ფაზის დასაწყისი შეიძლება იყოს, ამიტომ ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ არა მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არამედ მთელ რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან მიმართებაში. მოვლენების გამწვავებას ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ უფრო უნდა ველოდოთ. ამ ხელმოწერის გადაგორებით ეს საფრთხეები არ მთავრდება, პირიქით, იწყება ახალი პროცესი ნატო-ს სამიტის წინ!“**

წინასწარი ინფორმაციით, ანქვაბი ოპოზიციასთან გარკვეულ დათმობებზე წავა. იგი მზადაა, იმსჯელოს მთავრობის გადაყენებაზე, გენპროკურორსა და ორ დასახელებულ გამგებელთან ერთად, თუმცა ვითარება ამ დრომდე დაძაბულია, რადგან, ახალი მოთხოვნის პასუხად, დე ფაქტო პრეზიდენტი არათუ გადადგომას აპირებს, არამედ ოპოზიციის მოქმედებას შეიარაღებული გადატრიალების მცდელობად აფასებს. აქ მთავარი კი სხვა რამაა — რეალურად ვის მიერაა მართული ეს პროცესი აფხაზეთში. შედის თუ არა რუსეთის ინტერესებში, უკრაინაში სისხლისღვრისა და ევროპული სანქციების ფონზე, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ უარყოფით კონტექსტში აღმოჩენა. და რაც მთავარია, დაიძაბა თუ არა ხელოვნურად ვითარება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მაინცდამაინც, ქვეყნის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის წინ?! „ვერსიის“ ამ კითხვებს ექსპერტებმა უპასუხეს, თუმცა მანამდე ოპოზიციის კიდევ ერთი მოთხოვნა გავრცელდა, რომლის თანახმად, აჯანყებულთა ერთი ჯგუფი აფხაზეთიდან იმ ეთნიკური ქართველების გასახლებას ითხოვს, რომელთაც აფხაზური პასპორტები დარღვევებით მიიღეს. ამ ინფორმაციას, რომელსაც ყველაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ადგილობრივი ჟურნალისტი ანონიმურად ავრცელებს. მის ნამდვილობაში კი ეჭვი ბევრმა შეიტანა. მოთხოვნა კონტრპოდუქტიულად ექსპერტმა კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძემაც** მიიჩნია: **„ეჭვი მეპარება, დღის წესრიგში ამ მოთხოვნის, ზოგადად, დაყენებაც კი დამდგარიყო. ამას ხმამაღლა არავინ იტყოდა. ეს თემა კონტრპროდუქტიულია და მას მხარს არც მოსკოვი დაუჭერს. ამ პოზიციას ვერცერთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან ვერ ახსნიან“.** რაც შეეხება საკითხს, ვის ინტერესებში შედის აფხაზეთში ვითარების სწორედ ახლა გამწვავება, ოფიციალური თბილისი სხვადასხვაგვარად ეხმაურება. როგორც მინისტრი

რუსეთის მორიგი ჭყუილი აფხაზეთის მოსახლეობისთვის

რა ხდება აფხაზეთში და რა შეიცვლება ანქვაბის გადადგომით

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„აფხაზეთში ვითარების დარეგულირება არავის ძალუძს“, „რევოლუცია აფხაზურად“, „სოხუმმა თავისი ევრომაიდანი მოიწყო“... — მსგავსი სათაურებით ეხმიანება რუსული მედია ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს. რა მოხდა 2014 წლის 27 მაისს სოხუმში? — ეს კითხვა, რუსულ საიტებზე ამ დღეებში ბევრჯერ დაისვა და როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ჟურნალისტები მასზე პასუხის ძიებისას, ძირითადად, მშრალი „ნიუსებით“ შემოიფარგლნენ. ნაკლები ანალიტიკა, ნაკლები პოზიცია, ნაკლები პროპაგანდა... მიზეზი ალბათ თავად იმ მიზეზებში უნდა ვეძებოთ, რის გამოც აფხაზეთში არეულობა დაიწყო. „აბსნიპრესის“ ინფორმაციით 27 მაისს „სულის ქალაქად“ წოდებული სოხუმის ქუჩებში 10-20 ათასი ადამიანი გამოვიდა დე ფაქტო ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით. ქრონოლოგიურად აღარ მოვყვებით, როგორ აიღო შტურმით ოპოზიციამ ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და ტელევიზიის შენობები, როგორ გავრცელდა ინფორმაცია ანქვაბის გაქცევის შესახებ, მერე ანქვაბმა ეს ინფორმაცია როგორ უარყო და ბრძანა, არსად ვაპირებ წასვლასო... ამაზე უკვე ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა. სამაგიეროდ, განსაკუთრებით რუსი პოლიტოლოგები იმაზე საუბარს ერიდებიან, არის თუ არა აფხაზეთში შექმნილი ვითარება მართული. ერთ-ერთი რუსული ინფორმაციული მოკლე სტატიის სათაურმა — „სოხუმმა თავისი ევრომაიდანი მოიწყო“, ბევრი საერთაშორისო ექსპერტი დააფიქრა. არის თუ არა ეს რუსეთის მხრიდან ქვეცნობიერად აღიარება, რომ სოხუმში არეულობის უკანაც კრემლი დგას? ამ კითხვას პასუხს ისტორია გასცემს. დასავლელ ექსპერტებს კი დღეს მხოლოდ არგუმენტებით შეუძლიათ დაასაბუთონ, რომ არის. მთავარი არგუმენტი სარკაზმული ფრაზაა: ოკუპირებული აფხაზეთის ცაზე თოლიაც კი ვერ გადაიფრენს პუტინის ნებართვის გარეშე. კრემლში აცხადებენ, „აფხაზურ სამზარეულოში“ არ ვერევითო, მაგრამ „მოსკოვის ცრემლების“ დიდი ხანია აღარავის სჯერა. კრემლში იმასაც აცხადებენ, რაც არეულობა დაიწყო, არც ანქვაბთან გვქონია კონტაქტი და არც მთავარ ოპოზიციონერ რაულ ხაჯინბასთანო, მაგრამ ამასაც ნაკლებად დაიჯერებს ვინმე, მით უმეტეს მაშინ, როცა „ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს“ — 28 მაისსვე, რუსეთის პრეზიდენტმა სოხუმში, ვითარების დასაშოშმინებლად, „მშვიდობის ორი მტრედი“ აფრინა — თავისი მრჩეველი ვლადისლავ სურკოვი და უშიშროების საბჭოს მდივანი რაშიდ ნურგალიევი.

თუკი ვთანხმდებით, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში შექმნილი ვითარება მართულია, თანაც რუსეთის მხრიდან, იმაზე მოგვიწევს პასუხის პოვნა, რა მიზანი ამოძრავებს კრემლს. ოკუპანტის გრძელვადიან მიზნებს არ ვგულისხმობთ. ეს უკვე ისედაც ნათელია. კონკრეტულად ახლა რატომ დაჭირდა რუსეთს სოხუმში არეულობა?

რამდენიმე ვერსიიდან, რომლებზეც საერთაშორისო ექსპერტების ნაწილი საუბრობს, ერთ-ერთი ისაა, რომ რუსეთს უკრაინის შემდეგ მადა გაეხსნა და აფხაზეთში „ყირიმული სცენარის“ გამეორებას აპირებს. ამ აზრს, სხვათა შორის, საქართველოშიც იზიარებს რამდენიმე პოლიტოლოგი და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, თუმცა ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ ყირიმის სცენარის გამეორებას რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთში სამართლებრივად ვერ შეძლებს და არც სჭირდება.

თუ ასეა, რა სჭირდება კრემლს კონკრეტულად ამ ვითარებაში? საერთაშორისო ექსპერტები ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა, პროგნოზირებდნენ, რომ ეს ორი „სახელმწიფო“ რუსეთს მძიმე ტვირთად დააწვებოდა. მაშინ კრემლმა ოკუპირებული ტერიტორიების მკვიდრებს „ოქროს კოშკები“ აუგო. 12 მილიარდიან დახმარებას, სოციალური პრობლემების მოგვარებას, „რესპუბლიკების“ აყვავებას და უზრუნველი ცხოვრების შექმნას დაპირდა. დაპირება დაპირებად, პრობლემები პრობლემებად დარჩა, განსაკუთრებით აფხაზეთში, სადაც ტურისტული სეზონიც კი ჩავარდა. არადა არ შეიცვალა მძიმე სოციალური ფონი... რუსეთს აფხაზეთში ახლა არეულობა არ აწყობს, — აცხადებენ უცხოელი პოლიტოლოგები. სამაგიეროდ, აწყობს, აფხაზეთის მკვიდრთა ყურადღება, სოციალური პრობლემებიდან, შეუსრულებელი დაპირებებიდან, სხვა „პრობლემებზე“ გადაიტანოს. დახატოს სურათი, თითქოს, ყველაფერი, რაც „ვერ“ გაკეთდა აფხაზეთში, ანქვაბის არასნორი პოლიტიკის, კორუფციის, გაუტარებელი რეფორმების ბრალია. იმ ანქვაბისა, რომელსაც ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, რაულ ხაჯიმბას ხელით მოიშორებს.

ვინ არიან ანქვაბი და ხაჯიმბა და რა შეიცვლება ოკუპირებულ აფხაზეთში ერთი „პრეზიდენტის“ მეორეთი შეცვლით? ანქვაბსაც და ხაჯინბასაც „პუტინის კაცების“ იარლიყი დიდი ხანია აქვთ. იურისტი ანქვაბი 1994-2000 წლებში მოსკოვში ცხოვრობდა და ბიზნესიც ჰქონდა. იურიდიული განათლება რუსეთში მიიღო რაულ ხაჯიმბამ. ვლადისლავ არძინბას ავადმყოფობის დროს, მთავრობის მეთაურის დე ფაქტო შემსრულებელიც გახლდათ და ამ პერიოდში რუსეთის მრავალ პოლიტიკურ ლიდერს ხვდებოდა, მათ შორის იგორ ივანოვსაც. პოლიტიკური აქტიურობის პერიოდში წინააღმდეგი იყო საქართველოსთან რაიმე სახის გაერთიანების და 2004 წლის მაისში მკვეთრად უარყო საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინადადება ფედერაციის შესახებ. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ 2004 წელსაც, „საპრეზიდენტო“ არჩევნებში, პუტინი მას აქტიურად უჭერდა მხარს და ლამის მის წინასაარჩევნო კამპანიაშიც იყო ჩართული. ანქვაბთან შერკინების დროსაც წერდა უცხოური მედია, რომ კრემლი ფსონს ხაჯიმბაზე დებდა. „რაული

პუტინის ფავორიტიაო, ამბობდნენ, მაგრამ იმასაც არ უარყოფდნენ, რომ არც ანქვაბის მიმართ იყო ცუდად განწყობილი ოფიციალური მოსკოვი. ითქვა ისიც, რომ სინამდვილეში, განწყობა არაფერ შუაშია — ერთიცა და მეორეც რუსული უშიშროების მიერაა „დავერბოვკებული“ და სხვა გზა არ ექნებათ, მაინც იმას მოიმოქმედებენ, რასაც პუტინი დაავალებსო. ამ ფონზე, ისიც დაუჯერებელია, რომ ანქვაბი და ხაჯიმბა რეალურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. „პუტინის მარიონეტები“ ახლაც იმ მიმართულებით მიდიან, საითაც რუსეთის პრეზიდენტი წაიყვანს. ასე რომ, არც ანქვაბია „დამოუკიდებელი აფხაზეთისთვის“ გულდათუთქული და არც ხაჯიმბას უდევს ყური აფხაზი ხალხის მაჯისცემაზე, ორივე კრემლის ძუძუთი ნაკვები ლეკვია და ანქვაბის წასვლის შემდეგ, აფხაზეთში რეალურად არაფერი შეიცვლება. სამაგიეროდ, კრემლი კიდევ ერთხელ მიაღწევს მიზანს — მძიმე პირობებში მყოფ აფხაზეთის მოსახლეობას ცოტა ხნით დააშოშმინებს, კიდევ ერთხელ შეაყრის თვალებში ნაცარს, კიდევ ერთხელ დააჯერებს, რომ მთავარი მტერი, ამჯერად უკვე უვარგისი ხელისუფლებისა და ანქვაბის სახით, მოიშორეს და კიდევ ერთხელ გამოკვებავს ფუჭი იმედით, რომ მზიან, საქართველოსგან მოწყვეტილ, ოკუპირებულ აფხაზეთში მალე ყველაფერი კარგად იქნება.

P.S. „კომსომოლსკაია პრავდას“ (kp.ru) ვებგვერდზე, თვალს მოგჭრით დღის კითხვა: „ოპოზიციამ განაცხადა, რომ მმართველობას ხელში იღებს. როგორ ფიქრობთ, რა ხდება დღეს აფხაზეთში?“ პასუხები განსხვავებულია. ბევრს მიაჩნია, რომ ყირიმის სცენარი მეორდება, თუმცა მათ ოპონენტები პასუხობენ, რომ განსხვავება დიდია — აფხაზეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში არ შედის, „დამოუკიდებელი სახელმწიფოა“ და სამართლებრივად ეს არ მოხერხდება. ისეთ კომენტარებსაც წავაწყდი, სადაც ვარაუდობენ, რომ აფხაზებს ქართველებისა და საქართველოს ნოსტალგია აქვთ (!).

უმეტესობა კი, ამტკიცებს, რომ აფხაზებს ფული უნდათ და ამგვარად ცდილობენ რუსეთისგან დაპირებული თუ სასურველი ფინანსების მიღებას — ხსენებული ვერსიებიდან რომელია რეალური, დრო გვიჩვენებს, მანამდე კი, სანამ ინფორმაცია ან მწირია, ან ტენდენციური ძალების მიერ გავრცელებული, ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება.

1. როკ-ენ-როლის „მეფე“
2.წმენდილი ნატეხი შაქარი
3. ჩინეთ-მცოდნეობა
4. მტკვრის უდიდესი შენაკადი
5. ნ. გოგოლის ცნობილი კომედია
6.მრავალ-წლოვანი ბალახოვანი მცენარე
7. გიორგი დანელიას ფილმი
8. იზიდას ძმა და მეუღლე
9. ტყე პარიზში
10.„ტყუპი“ შოკოლადის ბატონი
11.უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის
12. ფშავ-ხევსურთა ღვთაება
13. არსენა ოძელაშვილის ბატონის სახელი
14. ბგერის გრაფიკული ნიშანი
15. (ძვ) ასტროლოგიური წიგნი
16.ზურიკელას ბგბია
17.მდ. ობის შენაკადი
18.თვალის ფერადი გარსი
19.შეწეული სტრიქონი
20. ზევსის ფარი
21. ფინანსური ტერმინი
22.სამეფო სახლის წევრთა ტიტული ირანში
23.მსახიობი ... ბერიმორი
24. „მტირალა“ ხე
25. შლამის თევზი
26.თურქული კინოს ვარსკვლავი
27.ძირითადის თანმხლები დამატებითი ნივთი
28. ქვეყანა აფრიკაში
29. ინგლისური სიგრძის ერთეული
30.მონაკოს ამჟამინდელი მმართველის მამა
31.იარაღის მთავარი საწყობი
32. ზღვის ქაფიდან შობილი ქალღმერთი
33. მუსიკალური გამის V ნოტი
34. „მახრჩობელა“ ხილი
35.იტალიელი პოეტი ტორკვატო ...
36. ვაშლის ღვინო
37. ალოეს ქართული სახელწოდება
38. საზოგადოების რჩეული ნაწილი
39.წერილის ძველქართული სახელწოდება
40. ირლანდიის უდიდესი მდინარე
41. თხების ჯოგი
42.ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანი
43.წარსულში ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი
44. მწვავე სუნის მქონე უფერო შხამიანი გაზი
45.კერძო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულება
46.საქონლის საკვები მსხვილი თალგამი
47.უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებულება ძვ. რომში
48. ფსიქოანალიზის ფუძემდებელი
49. ბაში-აჩუკის ქუდი
50. დიდი თეფში
51. აშშ-ის შტატი
52. ბუდისტური სალოცავი
53. პატარა საწნახელი
54. გამოფენის ექსპონატთა დაფა
55. „ნისანის“ მოდელი
56. წყლის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში
57. სოფელი ონის რაიონში
58. გერმანელი კომპოზიტორი
59. ძველ-ეგვიპტური მზის ღვთაება
60. ოჯახი, სახლ-კარი
61. „იქ“ ძველ ქართულში
62. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
63. შაკირას ფეხბურთელი ქმარი
64. ტუბერკულოზის სალხური სახელწოდება
65. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
66. შვილის ან დის ქმარი
67. სანელებელი მცენარე
68. იტალიის საფეხბურთო კლუბი
69.ღამის ფრინველი
70.ხევისბერი გორას ვაჟი
71. ქართული ანბანის 33-ე ასო
72. სამხრეთ კორეის დედაქალაქი
73. გაფუჭებული ღვინო
74. ნეაპოლიტანური მაფია
75. კორეული ავტომარკა
76. გაზაფხულის ყვავილი
77. ბგერის ანარეკლი
78. ინგლისელი მწერალი ივლინ ...
79.სანთლის მსგავსი ნივთიერება
80. ... შანელი
81. იაპონური ცივი იარაღი
82. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
83. მაუგლის მეგობარი დათვი
84. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
85.სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
86. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
87. ესპანეთის ისტორიული რეგიონი

იაპონელებს სამსახურში რობოტები შეცვლიან



2025 წლისთვის ამომავალი მზის ქვეყანაში რობოტები 3,25 მილიონ სამუშაო ადგილს დაიკავებენ — ასეთია ავტორიტეტული ანალიტიკური ცენტრის (მანქანათმშენებლობის მემორიალური ფონდი) პროგნოზები. ცნობილია, რომ იაპონიის საზოგადოება მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულია. ექსპერტების შეფასებით, შობადობის დაბალი დონისა და პენსიონერების რიცხვის სწრაფი ზრდის გამო, 13 წლის შემდეგ ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა 4,27 მილიონით შემცირდება. იმის გამო, რომ იაპონიაში არ სურთ მეზობელი ქვეყნებიდან იაფი მუშა-ხელის შეშვება, მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც წაახალისებს ტექნიკის გამოყენებას — დაბალანაზღაურებადი სამუშაოს ნაწილი „ხელოვნურ ინტელექტს“ რომ გადააბარონ. თუ მრეწველობის ამ სექტორის განვითარება ასეთი სცენარის მიხედვით კიდევ უფრო წინ წავიდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იაპონიაში რობოტები მუშა-ხელის დეფიციტის 80%-ის კომპენსირებას შეძლებენ. ანალიტიკური ცენტრის პროგნოზით, 2025 წლისთვის 970 ათასი „ინტელექტუალური მანქანა“ მედდებისა და ძიძების ფუნქციებს შეასრულებენ, 450 ათას „ანდროიდს“ სამუშაოს სოფლის მეურნეობაში გამოუნახავენ, 1,5 მილიონი რობოტი კი დამლაგებლად და კურიერად იმუშავებს.

არაბეთში წყალქვეშ სასტუმროს აშენებენ

დუბაიში წყალქვეშა სასტუმროს აშენებას პოლონური კომპანია Deep Ocean Technology გეგმავს. როგორც ფირმის წარმომადგენლები ირწმუნებიან, ამბიციური პროექტი „სამოთხე წყალში“ შეძლებულ ტურისტებს მიიზიდავს მთელი მსოფლიოდან. არსებული გეგმის მიხედვით, წყალქვეშა სასტუმროს დისკოს ფორმა ექნება, რომელთაგან ერთი ზღვის ფსკერზე იქნება, ხოლო დანარჩენი ნაწილები იმოძრავებს წყალში და დროგამოშვებით, ფსკერზეც ჩაეშვება. ოტელში, ძირითადად, ლუქსის ნომრები იქნება, მის ბინადრებს კი სპარსეთის ყურის წყალქვეშა სამყაროს სილამაზით ტკბობა შეეძლებათ. აღსანიშნავია, რომ სასტუმრო კომპანია Drydocks World-ის ტექნოლოგიების გამოყენებით აშენდება, რომელიც წყალქვეშა ხომალდებს აგებს. დუბაის მთავრობა ჯერ კიდევ 2006 წელს აპირებდა წყალქვეშა სასტუმროს მშენებლობას, სამთავრობო და კერძო კომპანიები საამისოდ 300 მილიონი დოლარის გამოყოფას გეგმავდნენ, მაგრამ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ოტელი, ჯერჯერობით, კვლავ პროექტის დონეზე რჩება.

ვიაგრა შოკოლადში ძვირად დაუჯდა



ნიუ იორკელი შოკოლად „ბუმში“ ვიაგრას ურევდა და ისე ყიდდა. ამ სასიკვდილო ნარევს თაღლითი ტონუსის მოსამატებელ საკვებ დანამატად ასაღებდა. როგორც გამოძიებამ დაადგინა ბიზნესმენმა და კომპანია Yoi Jin Sei-ის მფლობელმა ტიბორ ლისკამ რამდენიმე თვის განმავლობაში კლიენტებს ამერიკიდან, რუსეთიდან, შვეიცარიიდან, იაპონიიდან, არგენტინიდან და კიდევ რამდენიმე ქვეყნიდან ვიაგრათი გაჯერებული შოკოლადის 200 ათასი ყუთი მიასაღა. რეკლამაში ლისკა მიუთითებდა, რომ შოკოლადი აღმოსავლურ სამკურნალო მცენარეებს შეიცავდა, სინამდვილეში კი, მასში სილდენაფილი — პოტენციის მოსამატებელი პრეპარატი (ანუ ვიაგრა) იყო გარეული. ამერიკაში ეს პრეპარატი მხოლოდ რეცეპტით იყიდება, რადგან შეიძლება სერიოზული გვერდითი მოვლენები გამოიწვიოს. ბიზნესმენს ბრალი თაღლითობაში დასდეს, 250 ათასი დოლარის ჯარიმა დააკისრეს და 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ელის.

სიცრუის დეტექტორი შორ მანძილზეც მუშაობს



როგორც ჩანს, ადამიანებს სულ უფრო ნაკლები შანსი აქვთ საკუთარი შიდა სამყარო გაასაიდუმლოონ. ებრაელმა მეცნიერებმა ახალი სიცრუის დეტექტორი შექმნეს, რომელიც შორ მანძილზეც მუშაობს ისე, თანამოსაუბრე შეიძლება ვერც კი მიხვდეს, რომ ამოწმებენ. აქამდე არსებული ყველა პოლიგრაფი იმას ეფუძნება, რომ, როცა ადამიანი ცრუობს, იოფლება, მაგრამ ამის შესამჩნევად, სხეულს უამრავი გადამცემი უნდა მიამაგროთ, გამოცდილი ცრუპენტელა კი საკუთარ ორგანიზმს ადვილად აკონტროლებს. იერუსალიმის უნივერსიტეტის სწავლულებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ არხები, რომლებიც ჩვენს საოფლე ჯირკვლებს კანთან აკავშირებს, ფორმით ბოთლის საცობს მოგვაგონებს. აღმოჩნდა, რომ ამ საცობისმაგვარ ანტენას მეცნიერები უკვე დიდი ხანია იყენებენ ძალიან მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების მისაღებად. ჰოდა, ებრაელი სწავლულებიც გვთავაზობენ, ადამიანის სხეული პრაქტიკულად უვნებელი ტალღებით დავასხივოთ, რომელიც აირეკლება და შედეგად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რამდენად სავსეა ოფლისგამომყოფი არხები. შესაბამისად კი დავადგენთ, იცრუა თუ არა ადამიანმა. ასეთი მაღალხარისხიანი გამოსხივების გენერატორები საკმაოდ კომპაქტურია და პრაქტიკაშიც მარტივად გამოიყენება — ის შეუმჩნევლად უნდა განათავსოთ ნებისმიერ შენობაში.

გარდაცვლილმა საკუთარ დაკრძალვაზე დააგვიანა

კანადის პროვინცია ალბერტაში, სამუშაო ადგილას მოულოდნელად გარდაცვლილმა დენის ჰემილტონმა ვერ ჩაასწრო საკუთარ დაკრძალვას. მიზეზი ის იყო, რომ კუბო მიცვალებულით ავიარეისიდან მოხსნეს, თვითმფრინავში მგზავრების ბარგისთვის ადგილი რომ გაეთავისუფლებინათ. ჰამილტონის გვამი აღმოსავლეთ კანადაში, ნიუფაუნდლენდში უნდა გადაეტანათ, მაგრამ, როგორც ავიაკომპანია „ეარ კანადას“ წარმომადგენელი აცხადებს, მიცვალებულის დროულად „მგზავრობა“ მხოლოდ ავიარეისის დაგვიანების გამო ვერ მოხერხდა.

წამალი ხვრინვის წინააღმდეგ

ბიოტექნოლოგიური კომპანიის სწავლულებმა უნიკალური პრეპარატი შექმნეს, რომელიც პაციენტებს ხვრინვისგან იხსნის. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ამ აშლილობის სიმპტომების სიხშირე ერთი აბის მიღებითაც კი შემცირდება. როგორც ცნობილია, ადამიანი ამ უსიამოვნო ხმებს იმის გამო გამოსცემს, რომ ზედა სასუნთქი გზების შევიწროება ხდება კუნთების ბუნებრივი მოდუნების გამო. ეს კი სუნთქვას ართულებს და სისხლში ჟანგბადს ამცირებს. ახალი პრეპარატი კოდური სახელწოდებით BGC20-0166, თავისი არსით ორი, ადრე შექმნილი წამლის შერწყმაა. მისი მოქმედების პრინციპი ასეთია: პრეპარატი თავის ტვინის გარკვეულ ცენტრებში ცვლის სიგნალის გადაცემას, რომელიც მუსკულატურისა და სასუნთქი გზების ტონუსზეა პასუხისმგებელი. ექსპერიმენტი 39 პაციენტზე ჩატარდა. მოხალისეებს, რომელთაც პრეპარატის დიდ დოზას აძლევდნენ, ხვრინვის სიმპტომები საშუალოდ 40%-ით შეუმცირდათ.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელეკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა ,,თრიალეთზე"
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი

დაცვის პოლიციის მიერ დაცული სააგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორში, საგურამოში, შინდისში, ტაბახმელაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, კვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნაბახტარში, მისაქციელში, ჟოპორტში, ბულაჩაურში, არაგვისპირსა და ნითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით

დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების 60 ეკიპაჟი ემსახურება.